ინტერნეტ გვერდი: [www.Google](http://www.Google.com). www.Mus.Ge. [www. youtube](http://www.youtube.com).

რესურსები:

ფორტეპიანო, კომპიუტერი, აუდიო კასეტები, მოსასმენი აპარატურა. დივიდი დისკები: ქართული ხალხური სიმღერები, მსოფლიოს კლასიკური ნაწარმოები.

საბაზო საფეხური

სავალდებულო სახელმძღვანელო:

„მზის სხივი მუსიკაში“ ავტორები მ. ოთიაშვილი, ი. მიქაძე. გამომცემლობა „წყაროსთვალი“.

დამხმარე ლიტერატურა:

პავლე ხუჭუა „მუსიკის სამყარო“, „მასწავლებლის წიგნი“ მ. ოთიაშვილი.

ინტერნეტ გვერდი: www.Google. www.Mus.Ge. www.youtube.

რესურსები:

ფორტეპიანო, კომპიუტერი, აუდიო კასეტები, მოსასმენი აპარატურა. დივიდი დისკები: ქართული ხალხური სიმღერები, მსოფლიოს კლასიკური ნაწარმოები.

სპორტი

სახელმძღვანელო: სპორტი. ავტორი ლეილა აფციაური.

რესურსები:

კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთისა და ფეხბურთის ბურთები, კალათბურთის ბადე, ფრენბურთის ბადე, სასტვენის, ალამის, წამმზომის, სახტომის სადგარი, თამასა, პატარა ბურთები, ტანვარჯიშული კედელი, ტანვარჯიშული სკამი, ტანვარჯიშის ლეიბი, სახტუნაო თოკები, საზომი ლენტა, გურზები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N 01-02/65 ბრძანებით დამტკიცებული იქნა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც თითოეული კათედრის მიერ შემუშავებული იქნა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დანართები 5, 6, 7, 8, 9, 10).

სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები:

ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს.

წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის აგების პრინციპები

1. სასწავლო თემა წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, დამუშავებულია სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები - განსაზღვრავს შესასწავლი თემის ჩარჩოებს; აკონკრეტებს, თუ რა უნდა იცოდეს მოსწავლემ კონკრეტულ თემასთან მიმართებით (თემატური მკვიდრი წარმოდგენები განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

2. გრძელვადიანი მიზნები

შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სტანდარტის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

ბ) სამიზნე ცნებები - გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

გ) სამიზნე ცნების/ცნებების მკვიდრი წარმოდგენები - თითოეული ცნებისთვის განისაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოფარგლავს ცნების მოცულობას და დააზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენების დაზუსტდებულია წლიური პროგრამის/სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში;

დ) საფეხურის საკვანძო შეკითხვები - გამომდინარეობს შედეგებიდან და სამიზნე ცნებებიდან და განსაზღვრავს, თუ რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე საგნის შესწავლის პროცესში. საფეხურის საკვანძო შეკითხვები თემის ფარგლებში უფრო კონკრეტულ თემატური შეკითხვებად არის გარდაქმნილი.

3. შუალედური მიზნები

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში.

საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება ასევე კომპლექსური დავალების პირობა.

ქვეცნებები - წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.

თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
- სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
- თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს არ სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო ფასიან მომსახურებას.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას შემდეგი აკადემიური, სპორტული, შემოქმედებითი კლუბების სახით:

#	კლუბები	კლუბის ხელმძღვანელი	შენიშვნა
1	დებატკლუბი „თემიდა“	ხათუნა ხალვაში	
2	მკითხველთა კლუბი „სწავლულნი“	მანანა ნაცვლიშვილი	
3	ინტელექტკლუბი „ლამპარი“	ვარდო ხოზრევანიძე	
4	მათემატიკის მოყვარულთა კლუბი „პირამიდა“	მადლენა გაბაიძე	
5	ხელოვნების კლუბი „მინერვა“	მანანა კოჩაძე	
6	ინგლისური ენის კლუბი „პოლიგლოტი“	თამარ დოლიძე	
7	ისტორიის მოყვარულთა კლუბი „იბერია“	ლიანა ტაკიძე	
8	სამოქალაქო განათლების კლუბი „იუსტიცია“	ინგა მოსიძე	
9	ბიოლოგიის კლუბი „ნერგები“	დალი გოგლიძე	
10	ფიზიკის კლუბი „ჩხირკედელა“	გულნარა ვერძაძე	
11	ინგლისური ენის წრე „ვისწავლოთ ერთად“	თეონა თურმანიძე	
12	რუსული ენის წრე „ცოცხალი სიტყვა“	ლამზირა ბერიძე	
13	მათემატიკის წრე „კონუსი“	ნარგიზ მამულაძე	
14	ქიმიის წრე „მწვანე ქიმია“	მერი შავაძე	
15	მაგიდის ჩოგბურთის წრე	კობა დეკანაძე	
16	ფიზიკური აღზრდის წრე „ძლიერი ნაბიჯი ძლიერების სიმბოლოა“	კობა დეკანაძე	

წრისა და კლუბის ხელმძღვანელმა სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი სამუშაო გეგმა

დანართი 14 (კლუბებისა და წრეები სამოქმედო გეგმები)

საგნობრივი კათედრების დებულება

1. ზოგადი დებულებები:

- საგნობრივი კათედრა იქმნება ერთი ან რამდენიმე სასკოლო დისციპლინის პედაგოგებისაგან სკოლის სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესის რაციონალური და ეფექტურად დაგეგმვის და ჩატარების მიზნით.
- კათედრის საქმიანობა მოიცავს სწავლებისა და აღზრდის სასკოლო სტრატეგიის თეორიულ განსაზღვრასა და შესაბამისი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.
- კათედრა იქმნება პედაგოგების რეკომენდაციით და ფორმდება დირექტორის ბრძანებით. საჯარო სკოლა ვალდებულია საგნობრივი ჯგუფების მიხედვით შექმნას კათედრები, რომლებშიც გაერთიანებული იქნება საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში საგნობრივი ჯგუფის თითო მასწავლებელია, შესაძლებელია სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის პედაგოგები ერთ კათედრაზე გაერთიანდნენ (მაგ., მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების); აგრეთვე შესაძლებელია სკოლამ შექმნას დაწყებითი საფეხურის კათედრა.

2. კათედრების ფუნქციები:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.
- სკოლის დირექტორისთვის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის წარდგენა.

კათედრების მოწყობა:

- კათედრის თავმჯდომარეს ირჩევს კათედრა ერთი სასწავლო წლის ვადით ხმათა უმრავლესობით.
- ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები:

- კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- კოლის მართვის ორგანოებისათვის კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა მიწოდება (მაგ. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება.

5. კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ერთჯერ. კათედრა აუცილებლად უნდა შეიკრიბოს სასწავლო წლის დაწყებამდე.

ძირითადი მიზნები და ამოცანები:

- კათედრის მუშაობის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს განათლების სახელმწიფო პოლიტიკას, სკოლის დებულებიდან გამომდინარე მიზნებს;
- კათედრა უნდა უზრუნველყოფდეს ერთი ან რამდენიმე დისციპლინის პედაგოგების კონცეპტუალურად ერთიან საგანმანათლებლო მიზანზე ორიენტირებულ და კოორდინირებულ მუშაობას;

- სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა ოპტიმალური რეალიზება სკოლაში, მისი განხორციელების გზაზე წარმოქმნილი პედაგოგიურ-საგანმანათლებლო პრობლემების შეწავლა, ანალიზი და გადაწყვეტა.
- საგნის სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების მოძიება, შესწავლა, დანერგვა და განზოგადება.
- საგანთა შორის კავშირების განმტკიცება.
- მოსწავლეთა აკადემიური განვითარების შეფასების ობიექტური სისტემის მომზადება და დანერგვა;
- ალტერნატიული სახემძღვანელოების ანალიზი და შერჩევა სასკოლო პრაქტიკისათვის;
- სამივე საფეხურზე საგნის სწავლების უწყვეტების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;
- საგნის სწავლების ხარისხის შეფასება, სწავლების მდგომარეობის შესწავლა, განხილვა და შეფასება; საკითხის გამოტანა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე;
- აქტიური მინაწილეობა სკოლის თვითშეფასების მოდელის შექმნაში;
- პედაგოგთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მუდმივი ხელშეწყობა.

კათედრის მართვა

- კათედრის მუშაობას, სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, გეგმავს და წარმართავს კათედრის გამგე;
- კათედრის გამგე ირჩევს სასკოლო დისციპლინის პედაგოგთა საერთო კრებაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით;
- კათედრის გამგე ირჩევს ერთი წლის ვადით;
- კათედრის გამგე იწვევს და წარმართავს კათედრის სხდომას, რომელიც ფორმდება სხდომის იქმით და სხვა დოკუმენტაციასთან ერთად ინახება კათედრის პორტფოლიოში;
- კათედრის თავმჯდომარის წარდგინებით კათედრა ღია კენჭისყრით, უმრავლესობით, ირჩევს კათედრის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ცვლის თავმჯდომარეს მისი არ ყოფნის დროს და მასთან ერთად პასუხისმგებელია კათედრის სრულფასოვან მუშაობაზე;
- კათედრის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციისა და პედაგოგიური საბჭოს წინაშე; ყოველი სემესტრის ბოლოს მოამზადოს წერილობითი ანგარიში, რომელსაც წარუდგენს, ადმინისტრაციასა და პედსაბჭოს;
- კათედრის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი შეიძლება დააყენონ: სკოლის დირექტორმა, პედსაბჭოს თავმჯდომარემ ან კათედრის წევრთა ერთმა მესამედმა, კათედრის თავმჯდომარე გადაირჩევა ღია კენჭისყრით, კათედრის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

კათედრის გამგე უფლებამოსილია:

1. ადმინისტრაციასთან შეთანხმებით კათედრა დააკომპლექტოს სათანადო კვალიფიკაციის მასწავლებლებით (შესაძლოა_კონკურსის საფუძველზე, რომელსაც აცხადებს სკოლის ადმინისტრაცია);
2. ადმინისტრაციის წინაშე დააყენოს საკითხი პედაგოგთა შეცვლის შესახებ;
3. შეისწავლოს, განიხილოს და განაზოგადოს ცალკეულ პედაგოგთა საქმიანობა;
4. ორგანიზება გაუწიოს მოსწავლეთა სპეციალურ მომზადებასა და მონაწილეობას საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში.

რეკომენდაცია კათედრების მუშაობისათვის

2023-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო წლის დასაწყისშივე განხორციელდეს:

1. კათედრის თავმჯდომარის არჩევა ;
2. კათედრის გამგის სამუშაო გეგმის შედგენა;
3. კათედრის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება;
4. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება;
5. კურიკულუმების შემუშავება, განხილვა-დამტკიცება;
6. 2023-2024 სასწავლო წლისათვის პედაგოგებზე საათების განაწილება (საფეხურების შესაბამისად);
7. სახელმძღვანელოების შერჩევა-დამტკიცება სწავლის დაწყებამდე;
8. დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ნუსხის შედგენა;
9. ელექტრონული გვერდებისა და საძიებელი საიტების სიის გაკეთება;
10. შეფასების კომპონენტებისა და აქტივობების შესაბამისი რუბრიკების შემუშავება-დამტკიცება განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებებისათვის;

11. მოსწავლის შეფასების სისტემაში მინიმალური ბარიერის განსაზღვრა კლასებისა და საფეხურების შესაბამისად;
12. სასკოლო შეფასების პრინციპებსა და სკოლის შინაგანაწესში შესატანი ცვლილებების მიწოდება;
13. კათედრის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება;
14. კათედრის საუკეთესო მოსწავლის გამოსავლენი კრიტერიუმების შემუშავება სემესტრისა და წლის შესაბამისად;
15. წერითი გამოკითხვის ნორმების განაზღვრა (დავალებების, ტესტირების, პროექტებისა და რეფერატების დოზირება-ოდენობის გათვალისწინებით);
16. სხვა საგნობრივი ჯგუფების მაწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობის წარმოება (მაგ. საერთო თემატიკის შეთანხმება, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა);
17. პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო ღონისძიებების ორგანიზება (სასკოლო კონფერენციებისა და ოლიმპიადების მომზადება, ტრენინგების, საჩვენებელი გაკვეთილების და სხვათა მოწყობა);
18. რეკომენდაციების შემუშავება ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ;
19. საგნობრივი გაზეთის ორგანიზების სტილი;
20. რეგულარული შეხვედრების ორგანიზება;
21. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საკითხის წარდგენა;

❖ კათედრის სამუშაო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულ იქნას

- პედაგოგთა შორის დავალების თანაბრად განაწილება, პედაგოგთა შეფასების რეიტინგული მაჩვენებლის შესაბამისად (კერძოდ საჩვენებელი გაკვეთილის, ღონისძიებისა, საკონფერენციო თემისა და პროფესიული განვითარებისათვის აქტუალური საკითხის მომზადება).
- რეგულარულად გაკეთდეს ფინანსური ანგარიში ეფექტურად სწავლებისათვის საჭირო რესურსებზე;
- თითოეულ კათედრაზე შემუშავდეს საჩვენებელი გაკვეთილის, მეთოდური თემისა და ღონისძიების წარმატების განმსაზღვრელი ინდიკატორები;
- სემესტრულ და წლიურ ანგარიშში კონკრეტულად აღინიშნოს საგანმანათლებლო სტანდარტების შესრულების მდგომარეობა, პრობლემის გამოვლენა და გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება.

სკოლაში არის შემდეგი საგნობრივი კათედრები

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის № 2 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები და თავმჯდომარეები

№	კათედრა	საგანი	მასწავლებელი	კათედრის თავმჯდომარე
1	სახელმწიფო ენა	1 ქართული ენა და ლიტერატურა	მ. მანწკავა, მ. ავალიანი, რ. კოპლატაძე, ნ. სურმანიძე, ვ. ხოზრევანიძე მ.ნაცვლიშვილი.	ხათუნა ხალვაში
		2 მსოფლიო კულტურა, ფოლკლორი და მითოლოგია	ვ. ხოზრევანიძე ხ. ხალვაში	
2	მათემატიკა	1 მათემატიკა	მ. მანწკავა, მ. ავალიანი, რ. კოპლატაძე, ნ. სურმანიძე, ნ. მამულაძე	მ.გაბაიძე
		2 კომპიუტერული ტექნოლოგიები. ჭადრაკი	თ. ბაგრატიონი,	
3	საზოგადოებრივი მეცნიერებები	1 ჩვენი საქართველო. ისტორია, საქართველოს ისტორია	ლ. ტაკიძე	ლიანა ტაკიძე
		2 სამოქალაქო განათლება	ი.მოსიძე	
		3 გეოგრაფია	ლ. ტაკიძე	
		4 სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	ლ. ტაკიძე	
		5 მე და საზოგადოება	ნ. სურმანიძე, რ. კოპლატაძე	
4	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების	1 ქიმია;	მ. შავაძე	გულნარა ვერძაძე
		2 ბიოლოგია	დ. გოგლიძე	
		3 ბუნებისმეტყველება,	მ. მანწკავა, მ. ავალიანი, რ. კოპლატაძე, ნ. სურმანიძე, დ. გოგლიძე	
		4 ფიზიკა	გ. ვერძაძე	
5	უცხოური ენები	1 ინგლისური ენა	თ. თურმანიძე თ. დოლიძე.	თეონა თურმანიძე
		2 რუსული ენა	ლ. ბერიძე	
6	ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდა	1 ფიზიკური აღზრდა, სპორტი	კ. დეკანაძე, მ. მანწკავა, მ. ავალიანი, რ. კოპლატაძე, ნ. სურმანიძე,	ნათელა სურმანიძე
		2 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	მ. კოჩაძე;	
		3 მუსიკა	მ. მანწკავა, მ. ავალიანი, რ. კოპლატაძე, ნ. სურმანიძე,	

კათედრების სამოქმედო გეგმა (დანართი N 15).

შეფასების პრინციპი

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯაროს სკოლის შეფასების მიზანია სწავლა/სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს ერთის მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ სწავლის ხარისხის გაკონტროლებას. პირველი დაკავშირებულია სწავლის პროცესთან, მეორე—შედეგთან.

სასწავლო შეფასების სისტემის აუცილებელი მიდგომები:

- მასწავლებელი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს, რომ საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მიღწეული შედეგი;
- მასწავლებელი უნდა იყენებდეს შეფასების სხვადასხვა ფორმას, ეძებოს კავშირები სასწავლო მიზანს, შეფასებას, სწავლებასა და სწავლას შორის. გამოიყენოს შეფასების სხვადასხვა მეთოდი შედეგებზე და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის (ესე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერიტი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.);
- შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემი გამოიყენოს სწავლების გაუმჯობესებისათვის;
- სემესტრული და წლიური შედეგების შეჯამებისას წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება შედეგების პროგრესირებისათვის;
- დაეხმაროს მოსწავლეებს თვითშეფასება-აღიარებასა და საკუთარი თავისადმი რწმენის ჩამოყალიბებაში;
- მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრების, სასწავლო პროცესის სასიამოვნოდ წარმართვის მიზნით დასახოს სწავლის მოტივაციის ამაღლების სტრატეგიები;
- განუვითაროს მოსწავლეებს ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევა;
- მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა;
- შეფასებისას გამოყენებულ იქნას: **მასწავლებლის დაკვირვება, კომენტარი, ტესტირება, მოსწავლის თვითშეფასება, თანატოლთა შეფასება** და სხვა.

შეფასების ძირითადი მიზნები:

- სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა (სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კონტროლი);
- **მოსწავლეს** დაეხმაროს სწავლის პროცესის გაანალიზებასა და მიზნის დასახვაში;
- დაეხმაროს სწავლაში, მისი მეშვეობით გააცნობიერონ რა იციან, რას მიაღწიეს და რა უნდა გააუმჯობესონ;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას;
- **მასწავლებლებს** მიაწოდოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისათვის აუცილებელი ინფორმაცია;
- **მშობლებს** გარკვევით აუხსნას მოსწავლეთა მიღწევები;
- **საგნობრივ კათედრებს** გაანალიზოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას მიაღწია სკოლამ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად;
- სასურველია ყველა მოსწავლემ გადალახოს მინიმალური ბარიერი

მინიმალური ბარიერის გადასალახად საგნობრივ-კათედრებზე შემუშავებული იქნას შემდეგი:

- დამატებითი სამუშაოს სახე (კლასების მიხედვით) იმ მოსწავლეებისათვის, რომლებს ვერ ძლევს პროგრამას ამა თუ იმ საგანში, ინდივიდუალური (ასაკის, ფიზიკური და ფსიკური) შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- დაწყებით საფეხურზე შემუშავებული იქნას რემედიაციის პროგრამა;
- მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე დაევალოს მასწავლებელს დამატებითი მეცადინეობის ჩატარება, რითაც დაეხმარება მოსწავლეს იმ მინიმალური ბარიერიის გადალახვაში, რომელიც მოეთხოვება საგნების მიხედვით; (მინიმალური ბარიერი სკოლისათვის არის შემდეგი: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, სამყაროს აღქმისა და გააზრების, ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების, ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის უნარების განვითარება).

შეფასების ძირითადი პრინციპები:

❖ **სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.**

- მოსწავლის ასაკში კორექტირებას მოითხოვს, როგორც ადამიანური ფასეულობები, ასევე ცოდნის, ნიჭისა და უნარების შეფასების პარამეტრები და კრიტერიუმები (მოსწავლეთა შესაძლებლობები

სხვადასხვა ასკში იჩენს თავს, ამიტომ დიდი პასუხისმგებლობითა და სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ აღნიშნული პარამეტრებისა და კრიტერიუმების კორექტირებას);

- მოსწავლეებისა და მშობლებისათვის შეფასების სისტემისა და ნორმების არსის საფუძვლიანი გაცნობა თითქმის მოხსნის აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს სკოლას, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის;
- სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შეფასების თანაბარი პირობები;
- შეფასება უნდა იყოს ხშირი და მრავალმხრივი (ესე, პროექტი, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, არგუმენტირებული მსჯელობა, წარმოდგენა და სხვა.);
- მოსწავლე უნდა შეფასდეს;
- ✓ როგორც თანამედროვე რეალობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე ადამიანი;
- ✓ გარკვეული ნიჭით და უნარებით დაჯილდოებული ცოდნის შექენაზე ორიენტირებული პიროვნება;
- ✓ პირველ შემთხვევაში გენეტიკურ მონაცემთან ერთად დიდ როლს თამაშობს გარემო, ადამიანთა ფართო სპექტრი, რომლებთანაც მოსწავლეს უხდება ურთიერთობა;
- ✓ მეორე შემთხვევაში წამყვან პოზიციაზეა სკოლა, მასწავლებელი და მშობელი ანუ სამკუთხედი მოსწავლე/მშობელი/მასწავლებელი.

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები უნდა შეფასდეს სამი კომპონენტის მიხედვით (სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს);

- მიმდინარე საშინაო დავალება
- მიმდინარე საკლასო დავალება
- შემაჯამებელი დავალება

შემაჯამებელი დავალების შესრულებისას გათვალისწინებული იქნას შემდეგი:

- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
- შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვა.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.
- ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო მინიმუმის გარდა შემაჯამებელი დავალება ჩატარდეს საათთან ექვივალენტურად (სემესტრში მინიმუმ ერთჯერ) და იყოს მრავალგვარი – თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე სამუშაო, ხელოვნების ნიმუში და სხვა;
- შემაჯამებელი დავალების წერილობითი ფორმა განისაზღვრება კათედრების გადაწყვეტილებით;
- შემაჯამებელი დავალებები ტესტირების შემთხვევაში განიხილება კათედრაზე და ბარდება დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, წერილობითი გამოკითხვის ჩატარებამდე ათი დღით ადრე;
- მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, თუ მოსწავლე გააცდენს შემაჯამებელ დავალებას, მასწავლებელი ვალდებულია სემესტრის დასრულებამდე, ხოლო მოზილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ მოსწავლის ამორიცხვის ბრძანების გამოცემამდე უზრუნველყოს შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენა;
- აღდგენით შემაჯამებელ სამუშაოზე მოსწავლეს მიეცემა იგივე დავალება, რაც გააცდინა და იმუშავეს დამოუკიდებლად მასწავლებლის მეთვალყურეობით;
- თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

- თითოეულ საგანში სასწავლო წლის დასაწყისშივე შეიქმნას და კათედრაზე დამტკიცდეს სამემოდგომო გამოცდების ტესტები;

შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა კლასების მიხედვით

საგანი	V კლასი		VI კლასი		VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი		X კლასი		XI კლასი		XII კლასი	
		II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.
ქართული ენა და ლიტ.		5	3	5	4	3	3	4	3	4	3	4	3	5	3	4
მათემატიკა		6	4	6	3	4	3	4	3	4	3	4	3	4	4	4
ინგლისური		4	4	4	2	3	2	3	2	3	2	3	2	3	3	2
ჩვენი საქართველო		3	2	3												
ბუნებისმეტყველება		4	3	4	2	3	2	3	2	3	2	3	2	3		
კომპიუტერული ტექნოლოგიები		2	2	2												
ხელოვნება		2	2	2	2	2	1	2	1	2						
მუსიკა		2	2	2	1	2	1	2	2	1						
რუსული		3	2	3	2	3	2	2	1	2	2	3	2	3	2	2
ისტორია					2	2	2	2	2	2	2	2	2	3	1	1
საქართველოს ისტორია											2	2	2	2		
გეოგრაფია					2	2	2	2	2	2	2	2	2	3		
ბიოლოგია					2	3	2	3	2	3	2	3	2	3		
სამოქალაქო განათლება					2	3	1	1	1	3	1	1	1	1		
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება															1	
ფიზიკა					1	2	2	2	1	2	1	2	1	2		
ქიმია							2	2	2	2	2	3	2	3		
მსოფლიო კულტურა													1	1		
ფოლკლორი და მითოლოგია											1	1				
ამერიკათმცოდნეობა															1	
ფიზიკური აღზრდა					1	1	2	4	1	3						

2023-2024 სასწავლო წელს ჩასატარებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობები
სემესტრების მიხედვით

საგანი	I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი	
	I სემ.	II სემ.	I სემ.	II სემ.	I სემ.	II სემ.	I სემ.	II სემ.
ქართული ენა და ლიტერატურა	1	1	1	1	1	1	1	1
მათემატიკა	1	1	1	1	1	1	1	1
ბუნებისმეტყველება	1	1	1	1	1	1	1	1
მე და საზოგადოება	1	1	1	1	1	1	1	1
ინგლისური ენა	1	1	1	1	1	1	1	1
კომპიუტერული ტექნოლოგიები			2	2	2	2	2	2
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	1	1	1	1	1	1	1	
მუსიკა	1	1	1	1	1	1	1	1
ჭადრაკი	1	1	1	1				

საგანი	V კლასი		VI კლასი		VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი		X კლასი		XI კლასი		XII კლასი	
		II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.	I ს.	II ს.
ქართული ენა და ლიტ.	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მათემატიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ინგლისური	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
ჩვენი საქართველო	1	1	1	1												
ბუნებისმეტყველება	1	1	1	1												
კომპიუტერული ტექნოლოგიები	2	2	2	2												
ხელოვნება	1	1	1	1	1	1	1	1	1	1						
მუსიკა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1						
რუსული	1	1	1	1	1	1	1	1	1	1						
ისტორია					1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
საქართველოს ისტორია											1	1	1	1		
გეოგრაფია					1	1	1	1	1	1	1	1	1	1		
ბიოლოგია							1	1	1	1	1	1	1	1		
სამოქალაქო განათლება					1	1	1	1	1	1	1	1	1	1		
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება															1	
ფიზიკა					1	1	1	1	1	1	1	1	1	1		
ქიმია							1	1	1	1	1	1	1	1		

- ❖ შეფასების წარმატებული შედეგები აისახება როგორც მორალური ასევე მატერიალური წახალისებით;
 - ✓ შეფასების არასასურველი შედეგების შემთხვევაში აუცილებელია- მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლის დირექციას;
 - ✓ დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ;
 - ✓ გამოცდაზე გასული მოსწავლის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;
 - ✓ სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში;

სკოლაში ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის შეფასება:

- I. **განმსაზღვრელი** (სწავლის შეფასება);
- II. **განმავითარებელი** (სწავლისათვის შეფასება);

განმსაზღვრელ შეფასებას ვიყენებთ სისტემატიურად, ამ დროს მოსწავლეს აუცილებლად უნდა დაეწეროს ქულა. იგი მიზნად ისახავს მოსწავლის მიღწევის დონის განსაზღვრას სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებით. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რა კრიტერიუმით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა და ნიშნების შესაბამისი მისაღწევი დონეების მოთხოვნები.

განმავითარებელია შეფასება, როდესაც მასწავლებელი იყენებს ისეთ ფორმას, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ საკუთარი მიღწევის დონის განსაზღვრაში ეხმარება, არამედ განვითარებაშიც – სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციების თუ პრობლემების გადაჭრის გზების შემოუშავების საშუალებით. განმავითარებელი შეფასება გაკეთდეს კომენტარის სახით. კომენტარში ძირითადად იწერება შესრულებული ნამუშევრის ძლიერი თუ სუსტი მხარეები და რეკომენდაციები მიღწევების გაუმჯობესების თაობაზე. სასურველია კომენტარს თან დაერთოს შეფასებისა და თვითშეფასების ცხრილები და რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებისას რეკომენდაცია, რჩევა თუ პრობლემის გადაჭრის გზა დაეხმაროს მოსწავლეს უნარების დახვეწაში;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

აუცილებელია სემესტრული და წლიური შეფასება მოხდეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შემაჯამებელი კომენტარის ფორმით.

საგნობრივი ჯგუფების მიერ შემუშავებულია შეფასების სქემები საფეხურების მიხედვით (დანართი16)

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

1. აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით.

შეფასების სისტემა ათქულიანია. 10 საუკეთესო ნიშანია. 1 კი ყველაზე დაბალი. საგნის ნიშანი გამოხატავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. ათქულიანი სისტემა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, უკეთ აჩვენოს პროგრესი და რეგრესი. ნიშნები მისაღწევი დონეების მიხედვით შემდეგი სქემით ლაგდება:

ნიშნები	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
შეფასების დონე	მაღალი		საშუალოზე მაღალი		საშუალო		საშუალოზე დაბალი		დაბალი	

მოსწავლის დაბალი ნიშნით შეფასება დისციპლინური სასჯელის მოტივით არ არის გამართლებული. საგნის ნიშანი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და არასათანადო საქციელისათვის (რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საგაკვეთილო მასალასთან) არავითარ შემთხვევაში ნიშნით არ დაისჯოს. სასურველია შეფასება ატარებდეს წამახალისებელ ფორმას.

2. დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასებში) მოქმედებს ნიშნების დაწერის სპეციალური სქემა:

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება და აღნიშნულ ინფორმაციას აცნობს მშობლებს

დაწყებით კლასებში კომენტარის გაკეთების რუბრიკა ნიმუშის სახით:

- ❖ ზოგადი დახასიათება - ფიზიკური მონაცემი, გონებრივი შესაძლებლობები, განსაკუთრებული უნარები, კომუნიკაბელობა (თანამშრომლობა), პასუხისმგებლობა;
- ❖ ქართული - ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა;
- ❖ მათემატიკა - რიცხვები და მოქმედებები, კანონზომიერებები და ალგებრა; გეომეტრია და სივრცის აღქმა, მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა;
- ❖ უცხო ენა - მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი;
- ❖ ბუნება - ცოცხალი სამყარო, სხეულები და მოვლენები, დედამიწა, გარესამყარო, ადამიანი და გარემო;
- ❖ ხელოვნება - პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოხატვა, იდეების შემოქმედებითად გამოხატვა, კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია, ნაწარმოების აღქმა კონტექსტში;
- ❖ ფიზ. აღზრდა - ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, მოძრაობა და მოტორული უნარ-ჩვევები, აქტიური მონაწილეობა.

3. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

4. მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, როგორც სავალდებულო ასევე არჩევით საგნებში;

5. დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური ქულის გამოთვლისას;

6. მოსწავლე „აბიტურის საათის“ ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განვითარებელი შეფასებით;

7. V- XII კლასებში საგანში „სპორტი“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: **ჩათვალა/არ ჩათვალა;**


8. დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის საერთო ქულის გამოთვლისას.“

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:



1. მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები);
2. მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები);
3. შემაჯამებელი დავალება (V კლასის პირველი სემესტრი, VI-VII კლასები);

სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

- I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
- V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

ბ) **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);

გ) **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

დ) საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

- მიმდინარე, **ყოველდღიური ქულა** (როელსაც უკვე აქვს ოფიციალური სტატუსი) იწერება კლასის ჟურნალში გაკვეთილის დასრულებისას მაინც, რათა მოსწავლემ იგრძნოს გაწეული სამუშაოს შედეგი და გაიოლდეს კლასის ხელმძღვანელის მოტივირებული საქმიანობა. შეფასება იყოს ხშირი (გაკვეთილზე ჩართული უნდა იყოს მოსწავლეთა მინიმუმ 60%-ისა) და მრავალმხრივი (არ არის აუცილებელი გაკვეთილში ჩართული მოსწავლე ყველა კომპონენტით შეფასდეს);
- **დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების** მოსწავლეების კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება კლასის დამრიგებლის შემაჯამებელი კომენტარის საფუძველზე, პედსპოს გადაწყვეტილებით;
- მოსწავლის კლასში დატოვების გადაწყვეტილებას დებულობს პედაგოგიური საბჭო;

ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შესრულებული შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;
- დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;
- ე) ესგ-ს მიხედვით 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
- ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
- გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);
- დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს ესგ-ს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;
- ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მათედიის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი (დანართი 17)

კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. **კლასი დაძლეულად ჩაითვლება**, თუ მოსწავლის მიერ კონკრეტული კლასის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ესგ-ს 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
2. **დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება**, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
3. **საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება**, თუ მოსწავლის საფეხურის ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
4. **საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება**, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

გაცდენები

1. მოსწავლის გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის აბიტურის საათის და ესგ-ს 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გაცდენები (იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში);
2. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება;
3. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
4. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე ეროვნულ და საერთაშორისო საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

შინ სწავლება

1. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.
2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
3. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.
4. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმის გამოყენება.

5. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.
6. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.
7. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

გამოცდის ტიპები

1. სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

2. წლიური (სასწავლო წლის დამამთავრებელი) გამოცდა

2023-2024 სასწავლო წელს სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა წლიურ გამოცდა არ ატარებს.

წლიური გამოცდის დანიშვნა/არდანიშვნის საკითხს წყვეტს სკოლა.

1. წლიური გამოცდის დანიშვნის შესახებ ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
2. სკოლას უფლება აქვს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კლასს დაუნიშნოს გამოცდა არაუმეტეს ორ საგანში. ამავე დროს, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც (მაგ., თუ სკოლამ კონკრეტულ კლასისთვის მე-7 კლასში დანიშნა წლიური გამოცდა ინგლისურ ენაში, მომდევნო ორი წლის განმავლობაში ამ კლასისთვის ამ საგანში ვეღარ დანიშნავს წლიურ გამოცდას). აღნიშნული არ ეხება იმ საგანს/საგნებს, რომლებშიც სკოლებს გაძლიერებული სწავლების სტატუსი აქვთ მიღებული;
3. წლიური გამოცდა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე. თუ სკოლას სურს საგნის წლიური გამოცდის დანიშვნა, მან სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, რომელ კლასში/კლასებში და რომელ საგანში/საგნებში ჩაატარებს ამ გამოცდას და ექნება თუ არა ამ გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა საგნის წლიურ ქულაზე.
4. თუ სკოლა ჩაატარებს წლიურ გამოცდას, იგი ვალდებულია გამოცდაზე შემაჯამებელი დავალების მსგავსი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები შესთავაზოს მოსწავლეებს. დაუშვებელია წლიურ გამოცდაზე არჩევითასუხიანი ტესტების შეთავაზება.
5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას წლიური გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა სამზე.

1. საშემოდგომო გამოცდა;

იმ შემთხვევაში თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა არის 5-ზე ნაკლები, სკოლა ვალდებულია მოსწავლეს დაუნიშნოს საშემოდგომო გამოცდა ამ საგანში.

საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;

საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა. გამოცდა ჩატარდება ტესტირებით ან პედაგოგის მიერ მიცემული წერიითი დავალებით;

მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას იღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა).

2. ექსტერნატის გამოცდა;

ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.

ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი

მოსწავლის აკადემიური მოსწრების აღიარება

- წლიური ან საფეხურის საერთო ქულა 9 და 10 გულისხმობს წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას;
- მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 10 დამრგვალების გარეშე და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასებას, იღებს ოქროს მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
- მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე მიიღებს დადებით შეფასებას, იღებს ვერცხლის მედალსა და შესაბამის სერტიფიკატს.
- პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის ფორმით, ოქროსა და ვერცხლის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატები არ გაიცემა.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს გააძლიეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის (სსსმ) შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ამდენად, ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აღენიშნება განვითარების ერთი ან რამდენიმე შეფერხება. განვითარების შეფერხება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება:

- ფიზიკური დარღვევები (მოდრაობის შეზღუდვა, კიდურების, მხედველობის და სმენის დეფექტები, მეტყველების პრობლემები);
- ინტელექტუალური დარღვევები (ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით გამოწვეული დარღვევები, ტვინის ტრავმა, ცერებრული დამბლა, ეპილეფსია, სწავლის უნარის დაქვეითება და სხვა);
- სენსორული დარღვევა (სმენის ან მხედველობის);
- მეტყველების დარღვევა;
- ქცევითი-ემოციური დარღვევები (ქცევის დარღვევები, ყურადღების დეფიციტი, გადამეტებული აქტიურობა (ჰიპერაქტიურობა), სოციალური დარღვევები, კომუნიკაციის პრობლემები);

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- ინკლუზიური სწავლების ძირითადი ამოცანები და სწავლების საბოლოო შედეგები გათვლილი უნდა იყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობაზე;
- ინკლუზიური სწავლება ნიშნავს სწავლებისა და შეფასების ინდივიდუალური მეთოდის შემუშავებას;
- ინკლუზიური განათლების სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

სსსმ-მოსწავლე - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე, რომელსაც თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, სწავლის დროს აქვს სიმძნელები და საჭიროებს დამატებით/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, როგორცაა მაგალითად – მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება, ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, გარემოს ადაპტირება, მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენა და სხვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

- ა) ფიზიკური შეზღუდვა;
- ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
- დ) მეტყველების განვითარების დარღვევა;
- ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
- ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე:

თუ მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობისას ხმამაღლა ლაპარაკობს, აგრესიულად იქცევა, მასწავლებელს ეურჩება და ცდილობს, თანაკლასელთან ჩხუბი გამართოს. მას ჰიპერაქტიურობის სინდრომი აქვს, რაც ყურადღების გაფანტულობასა და ქცევის აგრესიაში ვლინდება. მას სოციალური

ქვევის განსაკუთრებული ინსტრუქციები სჭირდება, უნდა დაიგეგმოს თუ, როგორ ასწავლოს სოციალური ადაპტაციისთვის აუცილებელი ქვევები. (სოციალურ უნარ-ჩვევათა სწავლება ნიშნავს მოსწავლისათვის ადეკვატური საკომუნიკაციო ჩვევის გამომუშავებას, საკუთარი ქვევების რეგულირებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებას, ერთი საქმის ბოლომდე კეთების, სხვების მოსმენის უნარი).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. იგი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დავიწყებულების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ექმნება სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა (იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა ინდივიდუალური საჭიროებები უკვე იდენტიფიცირებულია) ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს ყველა საგანში ან რომელიმე კონკრეტულ საგანში/საგნებში სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

3. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა დაიგეგმოს/განისაზღვროს:

ა) რომელ საგანში/საგნებში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებას. შერჩეულ საგნებში განისაზღვრება სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობასა თუ მასალას;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი და/ან ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების დრო, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით და/ან ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი; სსსმ მოსწავლისათვის დამატებითი დამხმარე პერსონალის (სანიტარი, ძიძა) საჭიროება;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი მასალა (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მასალა) და მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (რომელიც შეიძლება იყოს მშობელიც);

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსი (ავტობუსით მომსახურების საჭიროება, კომპიუტერთა სარგებლობის აუცილებლობა, მისთვის საჭირო სასკოლო ავეჯის აუცილებლობა, დასვენების საჭიროება და სხვ.).

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქვევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით;

5. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლის სიღრმისეული შეფასებისთვის და მის განათლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისთვის სკოლას შეუძლია მიმართოს სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდს (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი). თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ ბრძანებით უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - ისე ჯგუფი), რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისე-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისე-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.

6. ისე ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის პედაგოგები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, აგრეთვე მშობელი/მშობლები, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, ლოგოპედი ან სპეციალური მასწავლებელი, თუკი სკოლას ჰყავს ასეთი;

7. ისე ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე; სასურველია, ჯგუფს ხელმძღვანელობა გაუწიოს დამრიგებელმა ან სპეციალურმა მასწავლებელმა;

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ უნდა ჩატარდეს ისე ჯგუფის წევრების მინიმუმ ერთი მიმდინარე და ყოველი სემესტრის ბოლოს ერთი შემაჯამებელი შეხვედრა. შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს;

9. ისე ჯგუფის შეხვედრებზე იწარმოება სხდომის ოქმები. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში;
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენისთანავე დასამტკიცებლად წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს.
11. ისე ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ადმინისტრაციას უნდა მიაწოდოს სსსმ მოსწავლის პირად საქმეში შესატანად მოსწავლის შესახებ წარმოებული სრული დოკუმენტაცია (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები და სხვ.)
12. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა ისე ჯგუფის კოორდინატორისათვის გადასაცემად უნდა მოამზადოს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიში, რომელიც წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

მასწავლებელი და სსსმ მოსწავლე

მასწავლებელი პასუხისმგებელია, რომ სსსმ მოსწავლეს ის სასწავლო მიზანი დაუსახოს, რისი მიღწევაც მას შეუძლია. თუ მოსწავლეს, სხვა მოსწავლეებისაგან განსხვავებით, ბევრად მარტივი წლიური და შუალედური სასწავლო მიზანები აქვს. ის წარმატებით გართმევს თავს ამ მიზნის მიღწევას, და ხშირად მაღალ ქულასაც კი დაიმსახურებს. მაგ. თუ მას არ შეუძლია წაიკითხოს მცირე ზომის მოთხრობა, ამ შემთხვევაში მასწავლებელი მას ამ მოთხრობის მხოლოდ ერთი პატარა მონაკვეთის წაკითხვას სთხოვს, რადგან სწორედ ეს არის მისი სასწავლო მიზანი. ეს მოსწავლე მხოლოდ პატარა მონაკვეთს წაიკითხავს და კარგ შეფასებას იმსახურებს.

ემოციური და ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებს მკაცრი გარემო არ უნდა შეეუქმნათ.

მათთან ურთიერთობის დროს უნდა გავითვალისწინოთ:

- თუ მოსწავლე უარს ამბობს მასწავლებლის მითითებების შესრულებაზე და აგრესიულად იქცევა, არ შეიძლება ის კლასიდან გავაგდოთ. პედაგოგი უნდა შეეცადოს, შეინარჩუნოს მის მიმართ კეთილგანწყობა; გამოავლინოს მოსწავლის ინტერესები და ამ ინტერესების მიხედვით შეურჩიოს მას დავალება;
- თუ მოსწავლე თანატოლებთან ხშირად ჩხუბობს და აგრესიულია, პედაგოგმა, სასურველია, არ აკრძალოს სხვა მოსწავლეების ასეთ ბავშვთან ურთიერთობა, არამედ მისცეს მას დამშვიდების დრო და შეეცადოს, ასწავლოს მას თანატოლებთან ურთიერთობების დამყარების წესები. სასურველია, მთელი კლასი ჩავრთოთ ამ პროცესში;
- როცა სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან გვაქვს საქმე, პედაგოგი, სასურველია, მუდმივად ცუდ ნიშანს არ უწერდეს მას, ან მისგან დავალების აუცილებლად შესრულებას არ იხოვდეს. მასწავლებელმა ასეთი მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების ინდივიდუალური მეთოდი უნდა შეიმუშაოს და დავალებსაც მოსწავლის ინტერესებზე დაყრდნობით უნდა ადგენდეს;
- თუ მოსწავლე ხშირად დეპრესიულია გაკვეთილზე, შესვენებაზე თანატოლებთან ურთიერთობას არ ამყარებს, უჭირს საუბრის დაწყება, სწავლა და თავს გარიყულად გრძნობს. ასეთ შემთხვევაში მას ხშირი შენიშვნები არ უნდა მისეცეს, არამედ შეეცადოს, თანატოლებთან დაამეგობროს და ამ პრობლემის მოგვარებაში აქტიურად ჩართოს კლასი;
- თუ მოსწავლე სუსტადმხედველია და, იმავდროულად, ახალ გარემოშია (გადმოვიდა სხვა სკოლიდან) ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მისი პრობლემა უნდა გაითვალისწინოს და შეეცადოს, რომ დაფაზე დიდი და მკვეთრი ასოებით წეროს; აგრეთვე, მასა და თანაკლასელებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ხშირად ჯგუფურ აქტივობაში ჩართოს;
- თუ მოსწავლეს შეზღუდული აქვს მეტყველების უნარი, არა აქვს თავისი ასაკისათვის შესაფერისი სიტყვათა მარაგი, უჭირს სიტყვებისა და ბგერების სწორი გამოთქმა, თანატოლებისა და მასწავლებლის საუბრის გაგება. ეს ნაკლი მასში გულჩათხრობილობასა და არასრულფასოვნების კომპლექსს იწვევს. ასეთ შემთხვევებში დიდი ყურადღებით უნდა მოეპყროს მოსწავლეს, აგრძნობინოს, რომ აინტერესებს მისი საუბარი, დაუკვირდეს მის ჟესტიკულაციას და შეამოწმოს საკუთარი თავი, რომ სწორად გაიგო ბავშვის ნათქვამი; აქტიურად უნდა ჩართოს საკლასო დისკუსიებში, ყურადღებით უნდა მოუსმინოს და წაახალისოს; სასურველია, ისეთი კითხვები დაუსვას, რომ კითხვას გრძელი პასუხი არ მოჰყვებს;
- თუ მოსწავლე მოძრაობის შეზღუდვის მქონეა და ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. ის განსაკუთრებული მგრძობიარობითა და ინტუიციით გამოირჩევა, ძალიან კარგად სწავლობს, ნაკითხი და ინტერესიანი ბავშვია. სასურველია, თუ მას სპირდაპირ მივმართავთ. თუ საუბარი გრძელდება, მაშინ მასწავლებელი ისე უნდა დაჯდეს, რომ მოსწავლესთან ერთ დონეზე აღმოჩნდეს; ასევე, სასურველია, განსაკუთრებულად არ მოექცეს მას, ხშირად ზედმეტი ყურადღება პრობლემაზე ყურადღების გამახვილებად აღიქმება, ეს კი ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, მტკივნეულია; აუცილებლად

გასათვალისწინებელია, სასწავლო პროცესში, ყველამ, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა;

- თუ მოსწავლე ხშირად დეპრესიულია გაკვეთილზე, შესვენებაზე თანატოლებთან ურთიერთობას არ ამყარებს, უჭირს საუბრის დაწყება, სწავლა და თავს გარიყულად გრძნობს. ასეთ შემთხვევაში მას ხშირი შენიშვნები არ უნდა მისეცეს, არამედ შეეცადოს, თანატოლებთან დაამეგობროს და ამ პრობლემის მოგვარებაში აქტიურად ჩართოს კლასი;

- თუ მოსწავლე სუსტადმხედველია და, იმავდროულად, ახალ გარემოშია (გადმოვიდა სხვა სკოლიდან) ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა მისი პრობლემა უნდა გაითვალისწინოს და შეეცადოს, რომ დაფაზე დიდი და მკვეთრი ასოებით წეროს; აგრეთვე, მასა და თანაკლასელებს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ხშირად ჯგუფურ აქტივობაში ჩართოს;

- თუ მოსწავლეს შეზღუდული აქვს მეტყველების უნარი, არა აქვს თავისი ასაკისათვის შესაფერისი სიტყვათა მარაგი, უჭირს სიტყვებისა და ბგერების სწორი გამოთქმა, თანატოლებისა და მასწავლებლის საუბრის გაგება. ეს ნაკლი მასში გულჩათხრობილობასა და არასრულფასოვნების კომპლექსს იწვევს. ასეთ შემთხვევებში დიდი ყურადღებით უნდა მოეპყროს მოსწავლეს, აგრძნობინოს, რომ აინტერესებს მისი საუბარი, დაუკვირდეს მის ჟესტიკულაციას და შეამოწმოს საკუთარი თავი, რომ სწორად გაიგო ბავშვის ნათქვამი; აქტიურად უნდა ჩართოს საკლასო დისკუსიებში, ყურადღებით უნდა მოუსმინოს და წახალისოს; სასურველია, ისეთი კითხვები დაუსვას, რომ კითხვას გრძელი პასუხი არ მოჰყვებს;

- თუ მოსწავლე მოძრაობის შეზღუდვის მქონეა და ინვალიდის ეტლით გადაადგილდება. ის განსაკუთრებული მგრძობიარობითა და ინტუიციით გამოირჩევა, ძალიან კარგად სწავლობს, ნაკითხი და ინტერესიანი ბავშვია. სასურველია, თუ მას სპირდაპირ მივმართავთ. თუ საუბარი გრძელდება, მაშინ მასწავლებელი ისე უნდა დაჯდეს, რომ მოსწავლესთან ერთ დონეზე აღმოჩნდეს; ასევე, სასურველია, განსაკუთრებულად არ მოექცეს მას, ხშირად ზედმეტი ყურადღება პრობლემაზე ყურადღების გამახვილებად აღიქმება, ეს კი ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, მტკივნეულია; აუცილებლად გასათვალისწინებელია, სასწავლო პროცესში, ყველამ, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებმაც მიიღონ მონაწილეობა;

ინკლუზიური განათლების სფეროში მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამ კუთხით მუშაობა მასწავლებლისგან მოითხოვს:

- მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების სათანადოდ შეფასების უნარს;
- უნარს, რომ მოსწავლის განსაკუთრებული და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები ყოველთვის გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს;
- უნარს, რომ მოსწავლეს, მისი შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, საგანმანათლებლო შედეგის, მაღალი აკადემიური მოსწრებისა თუ სხვა კონკრეტული წარმატების მოლოდინი შეუქმნას;
- უნარს, რომ იზრუნოს მოსწავლის ყოველდღიურ აკადემიურ წინსვლაზე;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან დაკავშირებული

გართულებული

სიტუაციების დროს მასწავლებელმა კონსულტაციისთვის ექიმს ან ფსიქოლოგს უნდა მიმართოს;

მშობელი და სკოლა

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლებსა და სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. ამ მშობლებს ინფორმაცია და პროფესიული დახმარება სჭირდებათ. მათ კარგად უნდა გაიაზრონ ოჯახის როლი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და განვითარების საქმეში. სკოლა კი, თავის მხრივ, იმ ინფორმაციას და გამოცდილებას საჭიროებს, რომელიც მშობელს აქვს. მშობელმა ბევრი იცის შვილის დაავადების ან ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა გადაწყვეტილებების მიღების დროს მშობლები აქტიურ პარტნიორებად უნდა ჩათვალონ.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის, ესგ მე-34 მუხლის შესაბამისად.

3. გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლისის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.

4. თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები:

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში;

2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.)

5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა მოახდინოს საგამოცდო მასალის ადაპტირება - უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ესაჭიროება ხანგძლივი ჰოსპიტალიზაცია, ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლის განათლების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შინ სწავლების მეთოდით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს; სკოლა უდგენს მას სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც შინ სწავლებით უნდა დაძლიოს სსსმ მოსწავლემ.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც საგნის და აგრეთვე სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. შინ სწავლების პროცესში ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენება, თუკი სკოლას ამის შესაძლებლობა აქვს, ეფექტურია დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით. ვიდეოკონფერენციის გამოყენება საშუალებას მისცემს მასწავლებელს, ვიზიტების შუალედში სკოლიდან გაუსვლელად აწარმოოს სსსმ მოსწავლის სახლში მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება; გაუწიოს კონსულტაცია სსსმ მოსწავლესა და მის მშობელს, მეურვეს ან სხვა პირს, რომელიც მოსწავლის სახლში მეცადინეობაზეა პასუხისმგებელი და ა.შ.

6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	I-IV	V-VI	VII-IX	X-XII
მინიმალური (ასტრონომიული)	5 სთ	6 სთ	8 სთ	8 სთ
საათები კვირის მანძილზე				

სკოლას ჰყავს 2 უფროსი სპეცმასწავლებელი. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ისგ-ს ჯგუფები.

2023-2024 სასაწვლო წლის ინკლუზური განათლების სამოქმედო გეგმა (დანართი-18)

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისათვის შექმნილი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა.

მოსწავლე (სახელი, გვარი)	
პირადი ნომერი	
სკოლა	
კლასი	
დაბადების თარიღი	
ასაკი	
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი	დედა -მამა -მეურვე/მზრუნველი -
ტელეფონის ნომერი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
მისამართი	
ელ ფოსტა	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული მოსწავლეებისთვის 2 კვირის ვადაში.

ისგ-ის შექმნის თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) -----

მოსწავლის ისგ-ზე პასუხისმგებელი პირი (კლასის დამრიგებელი)

სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომელშიც ერთიანდებიან სსსმ მოსწავლის საგნის მასწავლებლები, მშობელი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი. ისგ-ის შეხვედრები მნიშვნელოვანია ჩატარდეს წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ (იხ. ცხრილი). შეხვედრებზე განიხილება გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი, ამის საჭიროება არსებობს). გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად გეგმა ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

ისგ - ის ჯგუფის შეხვედრები	თარიღი
პირველი შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში	
მეორე შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს	
მესამე შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში	
მეოთხე შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს	
საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა	

შენიშვნა: თუკი, წლის მანძილზე ჩატარდება საჭიროებით განსაზღვრული შეხვედრა, ცხრილს დაემატება შესაბამისი ჩანაწერები.

(1) შეხვედრა - I სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(2) შეხვედრა - I სემესტრის ბოლოს, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(3) შეხვედრა - II სემესტრის დასაწყისში, თარიღი ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		
(4) შეხვედრა - II სემესტრის ბოლოს ----- ისგ - ის შეხვედრის მონაწილეები		
1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი	სახელი, გვარი	
2. დამრიგებელი	სახელი, გვარი	საგანი
3. მასწავლებელი		
4. მასწავლებელი		
5. მასწავლებელი		
6. ფსიქოლოგი		
7. სპეც. მასწავლებელი		
8. სხვა სპეციალისტი		

**მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის
მიმდინარე სასწავლო პროცესის თაობაზე**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება (განმარტება: ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივი და/ან თვისებრივი ცვლილება, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების მოდიფიცირებას - რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით).	დიახ	არა
--	-------------	------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ის საგნობრივი პროგრამები (საგნები), რომელთა ფარგლებშიც საჭიროა ინდივიდუალური სასწავლო მიზნის/ების განსაზღვრა

შინ სწავლების საჭიროება (განმარტება: იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება).	დიახ	არა
---	-------------	------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ:

შინ სწავლების ხანგრძლივობა: _____

შინ სწავლებით უზრუნველყოფილი საგნები: _____

პასუხისმგებელი მასწავლებელი/ები _____

დატვირთვა კვირის განმავლობაში: _____

ინდივიდუალური განრიგის საჭიროება (განმარტება: იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობის, ქცევის სირთულეების ან სხვა მიზეზის გამო უჭირს ყველა გაკვეთილზე დასწრება და სკოლასთან ადაპტაცია, მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ის საჭიროებდეს გაკვეთილებზე დასწრების ინდივიდუალურ განრიგს).	დიახ	არა
--	-------------	------------

დადებითი პასუხის შემთხვევაში, სასწავლო დღეებისთვის დააკონკრეტეთ გაკვეთილები, რომელსაც მოსწავლე ესწრება

	ქართული	მათემატიკა	ბუნ.						
ორშაბათი									
სამშაბათი									
ოთხშაბათი									
ხუთშაბათი									
პარასკევი									

სასწავლო გარემოს აკომოდაციის საჭიროება (განმარტება: სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო	დიახ	არა
--	-------------	------------

გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას)		
---	--	--

დადებითი პასუხის შემთხვევაში, შემოხაზეთ საჭირო აკომოდაციის სახეები

<p>ა) ინსტრუქციის აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჟესტების ენა; • ბრაილის ანბანი; • კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ზარათებით კომუნიკაცია); • ტექსტის ლექსიკის გამარტივება • ვიზუალური მინიშნება; • ვიზუალური ცხრილი; • ფონტის გაზრდა; • ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; • ინსტრუქციის პერიფრაზირება; • ინფორმაციის გამეორება; • აუდიო მასალის გამოყენება. 	<p>ბ) გარემო პირობების აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემო; • საკლასო ოთახის მდებარეობა; • მერხების განლაგება; • მოსწავლეთა განთავსება; • განათება; • ადაპტირებული ავეჯი, სივრცე; • სწავლების სტრატეგია.
--	---

<p>გ) შეფასების აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წერთი გამოცდის/ტესტირების ზეპირით ჩანაცვლება ან პირიქით; • ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; • გამადიდებელი, ლუპა; • ხმის გამამძიერებელი; • კალკულატორი. 	<p>დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დროის გაზრდა; • შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება; • დროის დაგეგმვა; • დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; • შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი • დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა.
--	--

<p>დამატებითი სერვისების საჭიროება (განმარტება: შესაძლოა სსსმ მოსწავლეს ესაჭიროებოდეს დამატებითი სერვისები სკოლაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, მაგ. ინდივიდუალური გაკვეთილები რესურს ოთახში, ინდივიდუალური ასისტენტის მომსახურება, მობილობა-ორიენტაციის ტრენერი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სასკოლო ავტობუსით მომსახურება, ადაპტირებული ავეჯით სარგებლობა და სხვ.)</p>	დიახ	არა
--	------	-----

დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ საჭირო სერვისი:

შენიშვნა: დადებითი პასუხების შემთხვევაში პირადი საქმე უნდა შეიცავდეს შესაბამის დოკუმენტაციას (სამედიცინო ინფორმაცია, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, სხვა სპეციალისტების დასკვნა), რომელშიც შესაბამისი სპეციალისტის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს აღნიშნული საჭიროებები.

კლასის დამრიგებლის ხელმოწერა _____

დირექტორის ხელმოწერა _____

მშობლის ხელმოწერა _____

შეფასების შედეგები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციას ბავშვის აკადემიური, კოგნიტური, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ

აკადემიური უნარები (აფასებს საგნის მასწავლებელი)	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
კოგნიტური (შემეცნებითი) უნარები (აფასებს სპეც მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი)	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		

აზროვნება		
მეტყველება		
ქცევა და ემოცია		
კომუნიკაცია		
მსხვილი მოტორული უნარები		
ნატიფი მოტორული უნარები		
ფუნქციური უნარ-ჩვევები (კვება, ჩაცმა გახდა, ტუალეტი, საკუთარი ნივთების მოწესრიგება...)		
ინტერესები, განსაკუთრებული მიდრეკილებები		
საგანმანათლებლო გარემოს შეფასება	საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისთვის, მაგ ადამიანური ან/და	

მატერიალური რესურსი

არსებული რესურსები -----

საჭირო რესურსები -----

მოსწავლის საგნობრივი შეფასება სასწავლო წლის დასაწყისში

მოსწავლის სახელი-გვარი: _____

კლასი: _____

საგანი: _____

მასწავლებლის სახელი-გვარი: _____

თარიღი: _____

აქ იწერება მონაცემები მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ, საგნობრივ პროგრამასთან მიმართებაში, სსსმ მოსწავლეს აფასებს ყველა ის საგნის მასწავლებელი, რომელიც მას ასწავლის

შედეგების გრაფაში შეიძლება ჩაიწეროს შედეგები და ინდიკატორები სხვადასხვა კლასის სტანდარტიდან სხვადასხვა მიმართულებისთვის და საგნებისთვის

მოსწავლემ გასული სასწავლო წლის დასასრულს გამოავლინა შემდეგი სასწავლო შედეგი/ები	შედეგის მიღწევას ადასტურებს შემდეგი ინდიკატორი/ები	შედეგის მიღწევას არ ადასტურებს შემდეგი ინდიკატორი/ები




მასწავლებლის დასკვნა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების საჭიროების თაობაზე

მასწავლებლის ხელმოწერა _____

დირექტორის ხელმოწერა _____

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ზოგადი ინფორმაცია

მოსწავლის სახელი, გვარი		პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი		ასაკი	
სკოლა		კლასი	
მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ ფოსტა	დედა -		<input type="checkbox"/>
იურიდიული მისამართი	მამა -		<input type="checkbox"/>
	მეურვე/მზრუნველი-		<input type="checkbox"/>
		ფაქტობრივი მისამართი	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრების კალენდარი

ისგ ჯგუფის წევრები	სახელი და გვარი	ისგ ჯგუფის შეხვედრების თარიღები და მონაწილეები				
მშობელი/კანონიერი. წარმ		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სპეციალური მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დამრიგებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ქართულის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
მათემატიკის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ინგლისურის მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ხელოვნების მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბუნებისმეტყველების მასწავლებელი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ფსიქოლოგი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სხვა სპეციალისტი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

საგანი	დატვირთვა კვირაში	პასუხისმგებელი მასწავლებელი

შენიშვნა: შინ სწავლების საჭიროება დადასტურებულია/უნდა იყოს დადასტურებული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით.

მოსწავლის სწავლა-სწავლების ხელშემწყობი აკომოდაციები			
სასწავლო პროცესი	გარემო პირობები	დამხმარე საშუალებები	დრო, განრიგი
<input type="checkbox"/> ბრაილის ანბანი; <input type="checkbox"/> შრიფტის გაზრდა; <input type="checkbox"/> კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (ბარათებით კომუნიკაცია); <input type="checkbox"/> ტექსტის ლექსიკის გამარტივება; <input type="checkbox"/> ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; <input type="checkbox"/> ინსტრუქციის/მასალის მიწოდება სხვადასხვა გზებით; <input type="checkbox"/> აუდიო მასალის გამოყენება; <input type="checkbox"/> წერითი აქტივობის ზეპირით ჩანაცვლება <input type="checkbox"/> ზეპირი აქტივობის წერით (სხვა ფორმით) ჩანაცვლება <input type="checkbox"/> სხვა ----- -----	<input type="checkbox"/> საკლასო ოთახის მდებარეობა; <input type="checkbox"/> მერხების განლაგება; <input type="checkbox"/> მოსწავლეთა განთავსება; <input type="checkbox"/> განათების მორგება; <input type="checkbox"/> აკუსტიკური პირობების შექმნა; <input type="checkbox"/> სივრცე შესვენებისთვის; <input type="checkbox"/> ადაპტირებული ავეჯი; <input type="checkbox"/> სხვა ----- -----	<input type="checkbox"/> ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს; <input type="checkbox"/> გამაღიებელი, ლუპა; <input type="checkbox"/> ხმის გამაძლიერებელი; <input type="checkbox"/> კალკულატორი; <input type="checkbox"/> კომპიუტერის ან დამხმარე მოწყობილობის გამოყენება; <input type="checkbox"/> სხვა----- -----	<input type="checkbox"/> დროის გაზრდა; <input type="checkbox"/> დროის შემცირება; <input type="checkbox"/> შეფასების, გამოცდის ეტაპობრივი ჩატარება; <input type="checkbox"/> დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; <input type="checkbox"/> შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი; <input type="checkbox"/> დღის გრაფიკი, აქტივობების ხანგრძლივობა; <input type="checkbox"/> აქტივობების ნაწილებად დაყოფა; <input type="checkbox"/> სხვა ----- -----

მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების აღწერა

აკადემიური უნარები	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
წერა		
კითხვა		
თხრობა		
ანგარიში		
შემეცნების სფერო	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
აღქმა		
ყურადღება		
მეხსიერება		
აზროვნება		

გრძელვადიანი მიზნები

გრძელვადიანი მიზნები	
მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს	მოსწავლემ უნდა შეძლოს
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	
ცნება:	

კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები

თემა/მიმართულება:		
კომპლექსური დავალების განხორციელების პერიოდი:		
გრძელვადიანი მიზნები	საკითხი/საკითხები:	კომპლექსური დავალება მოკლევადიანი მიზნები
	ეტაპები, აქტივობები, რესურსები	

მოსწავლის პროგრესის შეფასება

მნიშვნელოვანია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას თან ახლდეს სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული მოსწავლის ნამუშევრები, დავალებები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის # 2 საჯარო სკოლის
დამრიგებლები

#	კლასი	კლასის დამრიგებლები	შენიშვნა
1	I	მანჭკავა მაყვალა	
2	II	ავალიანი მადონა	
3	III	კოპლატაძე რუსუდან	
4	IV	სურმანიძე ნათელა	
5	V	ვარდო ხოზრევანიძე	
	VI	გაბაიძე მადლენა	
6	VII ^ა	ლიანა ტაკიძე	
7	VII ^ბ	თეონა თურმანიძე	
8	VIII		
9	IX ^ა	მამულაძე ნარგიზ	
10	IX ^ბ	მანანა კოჩაძე	
11	X	ლამზირა ბერიძე	
12	XI	ნაცვლიშვილი მანანა	
13	XII	თამარ დოლიძე	

სადამრიგებლო პროგრამა

სადამრიგებლო პროგრამა ხელს უწყობს სკოლაში აღმზრდელითი პროცესის ერთიანი სისტემის შექმნას, სკოლაში საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, თითოეულ მოსწავლესზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვას, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას, განსხვავებული შესაძლებლობებისა და უნარების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში და მათი შესაძლებლობების წახალისებას, ზოგადი განათლების ეროვნული პრინციპების განხორციელებას.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლაში თითოეულ კლასს ენიშნება ერთი დამრიგებელი. მათ კანდიდატურებს დირექტორთან წარადგენს დირექტორის მოადგილე (დამრიგებლის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესი), რის შემდეგაც ხდება მათი დამტკიცება დირექტორის ბრძანებით.

დამრიგებელი ინიშნება ერთი სასწავლო წლის ვადით;

დამრიგებელი უნდა იყოს ამავე სკოლის მასწავლებელი;

კლასის დამრიგებელი მოიაზრება მოსწავლის მრჩეველად, რომელიც ეხმარება მას სკოლაში უკეთ მოღვაწეობასა და საკუთარი ინტერესების სფეროს აღმოჩენაში, შემოქმედებითი თუ ინტელექტუალური უნარ-ჩვევების გამოვლენაში, ისეთი იდეალებისა და ცხოვრებისეული პრინციპების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მოსწავლეს ხელს შეუწყობს შეიცნოს საკუთარი პიროვნება და პატივი სცეს სხვათა პიროვნულ თვისებებს.

საგაკვეთილო პერიოდში დამრიგებლის სკოლიდან გასვლა თანხმდება დირექტორის მოადგილესთან და აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

სადამრიგებლო პროგრამის მიზანი

დამრიგებლის მუშაობის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში. დამრიგებელი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას და ეხმარებოდეს მათ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში.

სადამრიგებლო პროგრამის პრინციპები

დამრიგებლის მუშაობა უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- აღზრდის მთლიანობა – პიროვნების ფიზიკური, ფსიქიკური, სოციალური და სულიერი განვითარება;
- სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელი მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
- მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
- დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.
- შემოქმედი პიროვნების აღზრდა – მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის პირობების შექმნა;
- მოსწავლეთა ჩართულობა – მოსწავლეთა თავისუფალი დროის ეფექტური გამოყენება, პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება;
- პიროვნული და მორალური განვითარება – ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ემპათია, ეტიკეტი;
- მოქალაქეობრივი ცნობიერება – ჩემი ეზო, ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი/სოფელი, ჩემი სამშობლო, ისტორია, ტრადიციები, წესები და კანონები;

- უსაფრთხოება – შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა, თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობა, მოსწავლეთა შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- სწორი პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა – მოსწავლეთა განსაკუთრებული უნარების განვითარების ხელშეწყობა, საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით დამოუკიდებელი და სწორი არჩევანის გაკეთება;
- ცხოვრების ჯანსაღი წესი – დროის ორგანიზება, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მავნე ჩვევების საფრთხე;
- თვალსაწიერის გაფართოება – ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და ცამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა, დამოუკიდებლად სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება;
- გარემოს შემეცნებისა და დაცვის კულტურა – გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეთა აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ ინტერესის გაჩენა, გარემოსა და ბუნების მოფრთხილება;

დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებლის მოვალეობებია:

- შეადგინოს დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად;
- გააცნოს მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები;
- მოსწავლეთა აღრიცხვის ყოველდღიური წარმოება და კონტროლი (დაგვიანებები, საპატიო და არასაპატიო გაცდენები);
- მშობლებისთვის შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მიღწევების გაცნობა მინიმუმ თვეში ერთხელ;
- დაეხმაროს მოსწავლეებს სასკოლო გარემოში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში;
- იყოს შუამავალი რგოლი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში;
- დაეხმაროს მოსწავლეებს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენაში, მისცეს მათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება და გამოუმუშაოს კრიტიკული აზროვნების უნარი;
- გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურობა, დაიცვას მოსწავლეთა ინტერესები, არ დაუშვას მათი დამცირება, ან ფიზიკური შეურაცყოფა;
- რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია, მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე:
 - ❖ **პიროვნული და მორალური განვითარება** - მე - პიროვნება, სოციალური ჩემ გარშემო, ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან, ტოლერანტობა, ადამიანთა უფლებები, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, ეტიკეტი;
 - ❖ **გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება** - გარემოს მნიშვნელობის გაცნობა, გარემოს და ბუნების მოფრთხილება;
 - ❖ **ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია** - პირადი ჰიგიენა, ავადმყოფობის გავრცელების წყაროები, სასარგებლო საკვები, დროის ორგანიზება, დღის რეჟიმი, სპორტის მნიშვნელობა, მავნე ჩვევების საფრთხე,
 - ❖ **უსაფრთხოება და მოქალაქეობრივ - პატრიოტული ცნობიერება** - ჩემი სკოლა, ჩემი ქალაქი/სოფელი, ჩემი სამშობლო, ისტორია, გამოჩენილი პიროვნებები, მნიშვნელოვანი მოვლენები, ტრადიციები, წესები და კანონები;
 - ❖ **თვალსაწიერის გაფართოება** - ხელოვნების, ლიტერატურის, ტექნოლოგიური და სამეცნიერო მიღწევების მნიშვნელობა.
 - ❖ **მეწარმეობის უნარის განვითარება** - ასაკის შესაბამისი ბიზნეს უნარების განვითარება.

- დაწყებით კლასებში (I-IV კლასები) არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ ჩაატაროს კითხვის საათი, რომელიც ორიენტირებული იქნება წიგნიერების კომპეტენციის გაძლიერებაზე შემდეგი მეთოდებით:
 - ❖ კითხვის ტექნიკის გაძლიერებით;
 - ❖ წაკითხულის განხილვა-გააზრებით;
 - ❖ ანალიზის უნარის განვითარებით;
 - ❖ მსჯელობის უნარის განვითარებით;
 - ❖ პრეზენტაციის უნარის განვითარებით;
 - ❖ შემოქმედებითი უნარების განვითარებით და სხვ.
- საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
- უზრუნველყოს მოსწავლეთა გამოხატვის თავისუფლებია არა მხოლოდ დაცვა, არამედ ამ უფლებების განხორციელებისათვის ხელშეწყობა (საკამათო საკითხებთან დაკავშირებული შემოქმედებითი სამუშაოების მიცემა, სადებატო კლუბების შექმნა-მეთვალყურეობა);
- მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოიძიოს გაცდენის მიზეზი მინიმუმ 1-2 დღის ვადაში და დროულად აცნობოს მშობელს მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შედეგად მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ;
- გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და აცნობოს მშობელს სემესტრების ბოლოს;
- მშობლის მოთხოვნის შესაბამისად გაარკვიოს შვილის ძლიერ და სუსტ მხარეებში, ყველა საგანთან მიმართებაში (დაუშვებელია ერთი მოსწავლის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ მეორის მშობელთან თანდასწრებით საუბარი);
- თუ მოსწავლის მოსალოდნელი წლიური ნიშანი 5,0-ზე დაბალია, გააფრთხილოს მშობელი მოსწავლის მნიშვნელოვანი პროგრესის აუცილებლობის თაობაზე;
- შეიმუშაოს მშობლისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა (წერილობითი მიმართვის ფორმა, სამკომპონენტური სისტემის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გაგების ბუკლეტური სქემა);
- მოაწესრიგოს სადამრიგებლო ოთახი, შეავსოს თვალსაჩინოებებით, მოუაროს საკლასო ინვენტარს და ინვენტარის დააზიანებისას აცნობოს დირექციას;
- იზრუნოს საკლასო ოთახის ინტერიერის შექმნაზე, მოსწავლეთა ჩაცმულობაზე, დაიცვას სისუფთავე საკლასო ოთახსა და მიმდებარე ტერიტორიაზე;
- უზრუნველყოს მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის დროს;
- გამოავლენოს კლასის საუკეთესო მოსწავლე (დებულების საფუძველზე) კვირის, სემესტრისა და წლის შესაბამისად;
- კვირის შესაბამისად გამოვლენილი კლასის საუკეთესო მოსწავლის მონაცემი დაფიქსიროს სკოლის სპეციალურ ჟურნალში (რომელიც ინახება დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში), რომელთა ვინაობა დასახელდება „სკოლის ზეიმზე“- ყოველი სასწავლო კვირის დაწყების წინ. სკოლის ორ საუკეთესო მოსწავლეს მიეცემა საპატიო უფლება საქართველოსა და აჭარის ა. რ. დროშების აწევისა;
- შემლოს განსაკუთრებული სირთულის აღმზრდელობითი და დისციპლინური პრობლემების ოპერატიული გაცნობა დირექციისათვის;
- V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება. დახასიათებაში აღწერილი უნდა იყოს მოსწავლის ძლიერი მხარეები, მისი წარმატებები როგორც აკადემიური, ასევე სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, მოსწავლის მონაწილეობა წრეებში, სპორტულ შეჯიბრებებსა თუ სხვა სახის ღონისძიებებში; დახასიათებაში ასევე გაანალიზებული უნდა იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია (ან არსებითია) მოსწავლის კოგნიტური (შემეცნებითი), ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარებისათვის. ეს ინფორმაცია ყოველწლიურად უნდა მიეწოდოს მშობელს კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით (პირადი შეხვედრისას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით და სხვ.)

- დაეხმაროს მშობელს, რომ ისინი იყვნენ სასწავლო პროცესის თანამონაწილენი, სასურველია გამოიყენოს მშობლის გამოცდილება და უნარ-ჩვევები: ცეკვის, სიმღერის, ხელობის, ხელსაქმის, პროფესიული კურსის სწავლება;
- აწარმოოს სადამრიგებლო კლასის დოკუმენტაცია;
- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში მოამზადოს ინფორმაცია აკადემიური მიღწევისა და დასწრების შესახებ;

კლასის სადამრიგებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- თითოეული კლასის სადამრიგებლო პროგრამაში ნათლად უნდა აისახებოდეს პროგრამის მიზანები, ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები;
- სისტემატიური მონიტორინგის საკითხებს;
- მოსწავლეთა დემოგრაფიული მონაცემების შესავსებ ფორმას;
- კლასსაათის თემატიკას;
- თითოეულ მოსწავლეზე დაკვირვების სქემას (ფსიქოლოგიურ პორტრეტის შესავსებ ფორმას);
- სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა მომარაგების მდგომარეობას;
- კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ნუსხას;
- მოსწავლის აკადემიური დიაგრამის ფორმას;
- მოსწავლეთა წარმატების მისაღწევ კონკრეტულ ღონისძიებებს;
- დღესასწაულების რუბლიკას;
- ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებთან სამუშაო სპეციალურ პროგრამას, კონკრეტულ ღონისძიებებს საკომუნიკაციო Yჩვევების გამომუშავებისათვის;
- კონფლიქტური სიტუაციების აღრიცხვის სქემას (კონკრეტულ ღონისძიებას, თუ როგორ მოგვარდა თანატოლებთან ურთიერთობის წესები). გავითვალისწინოთ, რომ დეპრესიულ მოსწავლეს არ მიეცეს ხშირი შენიშვნები, შეეცადოს დაამეგობროს თანატოლებთან, მოსწავლის მიერ აგრესიულობის გამოვლენისას პედაგოგმა შეინარჩუნოს კეთილგანწყობა;
- მშობლებთან რეგულარული შეხვედრების ცხრილს (დროსა და ფორმის გათვალისწინებით);
- მოსწავლეთა კლასგარეშე საქმიანობისა და წარმატების აღრიცხვის ცხრილს;
- გაკვეთილისა და კლასგარეშე მუშაობის გაცდენათა ლიკვიდაციის კონკრეტულ ღონისძიებებს.

კლასსაათის თემატიკა მოიცავდეს:

- მოსწავლეთა სათათბიროს შექმნას და ფუნქციათა განაწილებას;
- დოკუმენტაციის წარმოების სწავლებას;
- მოსწავლეთა მოვალეობების გააზრებას;
- ზნეობრივი ღირებულებების მნიშვნელობას;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებლობას;
- მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებას;
- მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის მიზნობრივ ცოდნას;
- გააზრებას იმისა, რომ -- „სკოლა მათია და მათ ეკუთვნით“;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- მოსწავლისათვის დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას;
- ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობების გააზრების უნარის განვითარებას;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეძენას;
- მოსწავლეთა მიდრეკილებების გამოსავლენ ღონისძიებებს (დაეხმაროს მიზნობრივად გაერთიანდეს კლუბებსა და წრეებში);
- მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციის გეგმას (მოზარდი მზად უნდა იყოს, არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის, რომ საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში);

- რესურსების მიზნობრივი გამოყენების სწავლებას;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევას;
- კლასებში ინტელექტულების შექმნას და კლუბის სამუშაო გეგმის შემუშავებას;
- პროექტებზე მოსწავლეთა დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს;
- კონკრეტული ღონისძიებები იმისა, რომ პიროვნება იყო ტოლერანტი, კანონმორჩილი და კომუნიკაბელური მოქალაქე;
- საერო და სასულიერო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ კონკრეტულ ღონისძიებებს;
- პრაქტიკულ სამუშაოებს ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებ-დაცვისათვის;
- უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევის განვითარება, რომ იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები, არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;
- სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს.

კლასის სადამრიგებლო პროგრამაში გასათვალისწინებელია სასკოლო პროექტები

1. „ინტელექტკონკურსები“ -

- „ინტელექტა შესაკრებელი“ - ქართული ენა და ლიტერატურა;
- „გონებამახვილთა სალარო“ - მათემატიკა;
- „რა, სად, როდის“ - ისტორია;
- ყველაზე ჭკვიანი - გეოგრაფია;
- სიცოცხლის სიმფონია - ბიოლოგია;
- ლაპარაკობენ ელემენტები - ქიმია;
- „მე და სამყარო“ - ფიზიკა;
- „რაო რაო???“ - დაწყებით კლასები;
- „მხიარული სტარტები“- დაწყებითი საფეხური;
- შიდასასკოლო სპარტაკიადა სპორტის სახეობებში;
- „მუსიკალური ჰანგები“;
- „ხელოვნების სამყარო“
- „შოკოლადის მიკროფონი“ - ადმინისტრაცია.

2. იუბილევები

გამოჩენილი ადამიანები;

3. „ცოდნის ვაზანკი“

მოსწავლეთა პორტფოლიო საგნების შესაბამისად (სემესტრების ბოლოს);

4. „გილოცავთ, გილოცავთ“

საერო და საეკლესიო დღესასწაულები;

5. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვოდეს“-

ინტერვენციის კვირეული;

6. „მართალს ვიტყვი“-

სამართლებრივი მუშაობის პროგრამა;

7. საგანთა მეჯლისი - „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“;

8. თეატრის დღეები:

- სპექტაკლებზე ერთობლივი დასწრება;
- ნანახი სპექტაკლის განხილვა;
- ზღაპრის სამყაროში;

9. ეკოლოგიური სამსახური - მოვუაროთ გარემოს;

10. „წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა მამულისათვის თავის დადება“

- „ცრემლიანი აგვისტო“
- „სისხლიანი აპრილი“

11. „მამული, ენა, სარწმუნოება“...

12. წარმატებული პროექტები და რეფერატები;

13. „ლექსი თავად მწერს“ - მოსწავლეთა თვითშემოქმედება;

14. „რა განძი გვექონია“ - გასვლითი საგანმანათლებლო სემინარები;

კლასის სადამრიგებლო პროგრამაში გასათვალისწინებელია სკოლის სარეკომენდაციო სამუშაო კალენდარი

კლასის ყოველდღიური საქმიანობა წარიმართოს კონსტიტუციის, განათლების შესახებ კანონის, განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის და სკოლის შინაგანაწესის დებულებების მოთხოვნათა მიხედვით

#	თარიღი	შესასრულებელი სამუშაო	შენიშვნა
1.	1-15 09.2023	სასწავლო გარემოს კეთილმოწყობა	
2.	15-21. 09.2023	სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა	
3.	15-21. 09.2023	სკოლის შინაგანაწესში შესული ცვლილებების გაცნობა	
4.	15-21. 09.2023	მოსწავლეთა ქცევის კოდექსის გაცნობა	
5.	15-21. 09.2023	მშობლებთან ხელშეკრულებების დადება სასწავლო სახელმძღვანელოს მიღებაზე	
6.	16-20. 09. 2023	მოსწავლის მონაცემთა ბანკის შექმნა	
7.	15-27. 09.2023	სასკოლო გარემოს გაცნობა	
8.	15-27. 09.2023	შეფასების სისტემაში შეტანილი ცვლილებების გაცნობა	
9.	15-27. 09.2023	ოჯახური პირობების შესწავლა (გათვალისწინება მუშაობაში)	
10.	15-27. 09.2023	მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტური გამოკითხვა (უკეთესი გაცნობის მიზნით)	
11.	15.09-11.10 2023	მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზება	
12.	15.09-11.10 2023	მოსწავლეების კლუბებში გაერთიანების ორგანიზება	
13.		„გილოცავთ - გილოცავთ“ საერო და სადღესასწაულო დღესასწაულები	
14.	15.09 2023	ცოდნის დღესასწაული	
15.	19. 09. 2023	მთავარანგელოზ მიქაელის ხსენების დღე	
16.	21. 09. 2023	ღვთისმშობლობა	
17.	26. 09. 2023	წმინდა ქეთევან დედოფლის ხსენების დღე	
18.	27.09. 2023	ჯვართამაღლება	
19.	28. 09. 2023	ალავერდობა	
20.	1. 10. 2023	წმინდა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარის ხსენების დღე	
21.	3-7. 10. 2023	მასწავლებლის დღეები	
22.	08. 10. 2023	წმინდა ილია მართლის დაბადების დღე	
23.	14. 10. 2023	სვეტიცხოველობა; საუფლო კვართისა	
24.	18. 10. 2023	გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღე	
25.	23. 11. 2023	გიორგობა	
26.	22.10-12.11 2023	შემოდგომის ზეიმი	
27.	9. 11. 2023	ნიკოლოზობა	
28.	21. 11. 2023	მთავარანგელოზობა	
29.	04. 12. 2022	ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღე	

მშობლებთან კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია:

- მშობელთან პირისპირ საუბარი;
- გულთბილი შეხვედრა;

- საუბრისათვის თავისუფალი ოთახის შერჩევა (საჭიროებისას კარის ჩაკეტვაც კი);
- საუბრის დაწყებამდე ტელეფონის ჩუმ რეჟიმში გადაყვანა;
- საქმიანი შეხვედრისათვის კონკრეტული საკითხებისა თუ დავალებების ჩამონათვალი, მოსწავლის ნაშრომის ან სახელმძღვანელოს გამოყენება;
- ნერვიულობის ან კომპლექსის განეიტრალების მიზნით ორივეს დაჯდომა მოსწავლის მაგიდასთან (თანაბარ პირობებში);
- დასაწყისშივე უნდა აგრძნობინოთ ბავშვის მიმართ თქვენი კეთილგანწყობა და დადებითი დამოკიდებულება;
- მშობელი უნდა მიხვდეს, რომ ზრუნავთ მოსწავლის დადებითი უნარების განვითარებაზე;
- საუბრისას ჯერ დავარწმუნოთ მშობელი, რომ კეთილგანწყობილი ხარ მისი შვილის მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდეთ პრობლემურ საკითხებზე;
- გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები, ცელქები და დაუმორჩილებლები, ვიღაცის საყვარელი შვილები არიან;
- ყურადღებით მოუსმინეთ მშობელს, მხედველობაში მიიღეთ მათი პრობლემები;
- ეცადეთ საუბრისას მეტი დრო დაუთმოთ მშობლებს;
- დაუხატეთ კონკრეტული სიტუაცია, აღწერეთ კონკრეტული დეტალები, თავი აარიდეთ ცალსახა დახასიათებას („დათო სუსტია მათემატიკასი“) მიეცით კითხვის დასმისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა;
- შეეცადეთ სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისას ჰკითხოთ რჩევა. ნუ დაუტოვებთ შთაბეჭდილებას, რომ თავს ახვევთ თქვენს აზრს. მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მასთან ერთად ცდილობთ პრობლემის გადაჭრას;
- დაანახეთ მშობელს, რომ თქვენ კონკრეტულ პრობლემას ებრძვით და არა ბავშვს;
- პრობლემის გამწვავების შემთხვევაშიც, კი თავი შეიკავეთ მშობლის დადანაშაულებისაგან;
- საუბრისას შეეცადეთ ილაპარაკოთ მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით;
- საუბარი დაასრულეთ იმედისმომცემ და პოზიტიურ ნოტაზე;
- საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას, განსაკუთრებით იარაღის გამოყენების შემთხვევის გარკვევისათვის მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გაცემისას, თავი უნდა შევიკავოთ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისაგან, რომელიც ლახავს მოსწავლის ღირსებას (წარსული ყოფაქცევისა და დისციპლინური მონაცემების შესახებ);
- მოსწავლეთა კონფლიქტის შემთხვევაში დამრიგებელმა (მასწავლებელმა) უნდა განიხილოს მხოლოდ შემთხვევის დეტალები;
- დამრიგებელი ვალდებულია აცნობოს მოსწავლეებს რა შემთხვევაში რა სახის დისციპლინური სახდელები გამოიყენება (სკოლს შინაგანაწესის შესაბამისად);
- დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეებმა დაიცვან სკოლის მიერ დადგენილი დისციპლინარული წესები და პატივი სცენ თანაკლასელების, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების უფლებებს;
- დისციპლინური დარღვევის შემთხვევაშიც დაუშვებელია სადამსჯელო ღონისძიებების გატარება სხვა მოსწავლეების თანდასწრებით;
- დამრიგებელმა უნდა იზრუნოს ბავშვის ღირსების დაცვაზე, კარგად უნდა იცნობდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ყველა სამართლებრივი მექანიზმი უნდა გამოიყენოს ბავშვის უფლებების დასაცავად;

მოსწავლეებთან კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია პრევენცია

ქცევის წესების დარღვევა ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა. ამგვარი გარემოს შექმნისათვის ვეცადოთ:

- შევქმნათ თბილი, მეგობრული, გულწრფელი, ემპათიური ატმოსფერო;
- გვახსოვდეს, რომ მასწავლებლის მთავარი იარაღი სიმშვიდეა;
- პრობლემურ სიტუაციაშიც არ გადავიდეთ თავაზიანობის ზღვარს;
- სერიოზული შენიშვნა მოსწავლეს მიეცეთ პირადი საუბრისას და არა კლასის წინაშე, თუ ეს შესაძლებელია;
- ყოველი საქმიანობა გათვლილი იყოს დროში (არ მოიცალოს ქცევის წესის დასარღვევად);
- მოსწავლე შევაქოთ ან ვუსაყვედუროთ კონკრეტული ქმედებისათვის;
- შენიშვნა უნდა ეხებოდეს საქციელს და არა პიროვნებას;

- შენიშვნა უნდა იყოს კონკრეტული და ლაკონური, მოვერიდოთ მოსწავლესთან კამათში შესვლას;
- შენიშვნისას ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს ნორმალური სასწავლო პროცესის აღდგენა;
- საქციელის დეტალური განხილვისათვის სხვა დრო შეირჩეს;
- შევეცადოთ დავივიწყოთ დაძაბულობის შესახებ;
- მოსწავლე, რომელიც ემორჩილება შენიშვნას გადავუხადოთ მადლობა;
- დავაჯილდოოთ მონდომებაც (არა მხოლოდ შედეგი);
- საყვედურის შემდეგ, ვეძებოთ სად შეიძლება მისი შექება;
- მოსწავლის წახალისებამ არ უნდა მიიღოს მოქრთამვის სახე. არავითარ შემთხვევაში არ

წავახლისოთ ქცევის დარღვევის შემდეგ;

- სასურველია ქცევის დამრღვევი შეუმჩნეველად დავუბრუნოთ სამუშოს;
- ქცევის დაღვევის იგნორირება გაუმართლებელია, თუმცა შეიძლება თავის არიდება - თუ ეს გამონაკლისია, ან შეიქმნა უჩვეულო პირობებით;

- ქცევა ბუნებრივია ასაკობრივი თავისებურებისათვის;
- დარღვევა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს.

- იმისათვის რომ წესებმა შედეგი გამოიღოს, მასწავლებელი უნდა იყოს თანმიმდევრული:

1. სიტყვიერი შეხსენება;
2. შესვენების 5 წთ-ის დათმობა და საუბარი;
3. გაკვეთილების შემდეგ 20 წთ-ით დატოვება;
4. დამრიგებლის ჩაყენება საქმის კურსში;
5. სატელეფონო ზარი მშობელთან;
6. მოსწავლის გაგზავნა დირექტორთან, ან დირექტორის მოადგილესთან (ეს ყველაფერი ძალიან ტაქტიკურ და მზრუნველ ვითარებაში).

დამრიგებლის სამუშაო გეგმები (დანართი 19)

დამრიგებელი

----- 2023 წელი

მოსწავლის სახელი და გვარი

კლასი -----

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების შეფასების ცხრილი

1. პასუხისმგებლობა	სისტემატიურად ასრულებს დავალებებს	არასოდეს ავიწყდება სასწავლო ნივთები. არ აცდენს, არ აგვიანებს	იცავს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს, აცნობიერებს თავისა და სხვის უფლებებს
2. თანამშრომლობა	ზრდილობიანია და პატივს სცემს სხვებს, გამოხატავს პატივისცემას განსხვავებული აზრის მიმართ	თანამშრომლობს ჯგუფებთან მუშაობის დროს	მეგობრულია და კომუნიკაბელური
3. კრიტიკული აზროვნება	მონაწილეობს დისკუსიებში, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას	ბევრ კითხვას სვამს, მაძიებელია	აქვს საინტერესო იდეები
4. ცოდნის გამოყენება	ახარისხებს საჭიროების მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას, ახერხებს მიღებული ცოდნის დაკავშირებას კონკრეტულ საკითხთან	ორგანიზებულია, იცავს დროის ლიმიტს, ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს შეფასებასა და ანალიზს	სვამს პრობლემას და განსაზღვრავს გადაჭრის გზებს
5. საპრეზენტაციო უნარები	ნათლად და გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან	იყენებს თვალსაჩინოებებს და ტექნიკურ საშუალებებს	იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ფლობს ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების უნარებს
6. შემოქმედებითობა	აქვს პრობლემის გადაჭრის ორიგინალური იდეები	ანალიზებს მოვლენებს და ფაქტებს, ყოველთვის აქვს განსაკუთრებული ინტერპრეტაცია	შემოქმედია, შეუძლია სხვადასხვა ჟანრისა და სტილის შექმნა
7. ლოგიკური აზროვნება	შეუძლია მიღებული შედეგების განზოგადება, კავშირის დამყარება სხვა სტრუქტურებთან	ახერხებს პრობლემის გადაწყვეტის საინტერესო ალგორითმის ჩამოყალიბებას, მიღებული გადაწყვეტილების სისწორისა და ეფექტურობის დასაბუთებას	ახერხებს სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ინფორმაციის ინტერპრეტაციას, ადგენს კავშირებს და მიმართებებს, აყალიბებს ანალოგიებს, ახდენს საკითხის არსის წარმოჩენას

--	--	--	--

თითოეული კომპონენტი ფასდება სამი ქულით: 3 - მკაფიოდ გამოხატული თვისება ან უნარი
2 - ნაკლებად გამოხატული თვისება ან უნარი
1 - სუსტად გამოხატული თვისება ან უნარი

ჯამური ქულა _____

ანალიზი.....
.....
.....
რეკომენდაცია
1)
1)
2)
3)

დამრიგებელი

დირექტორის მოადგილე

მშობელი

მოსწავლის სოციალური, ინტელექტუალური მოსწრების დაბალი შეფასებისას (21-დან 25 ქულამდე)
დამრიგებელი ვალდებულია მშობელს შეატყობინოს არსებული მდგომარეობა და აქტიურად ჩააბას შვილის განვითარებაში.

შიდა სასკოლო მონტორინგი

მასწავლებელს საგანმანათლებლო პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრია. მან უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები: უნდა გაიაზროს, რომ – სწავლა ნიშნავს არა ინფორმაციის შეძენას, არამედ ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას. მან მოსწავლეების საკუთარი, სწორი დამოკიდებულებების შემუშავებაც უნდა ასწავლოს.

ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე. ჰქონდეს საკუთარი საგნობრივი პროგრამა; ყოველდღიურად დაგეგმოს გაკვეთილები; გამოიყენოს ინფორმაციული ტექნოლოგიები; მოამზადოს დავალებები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

სასკოლო სასწავლო გეგმა ორიენტირებულია პირველ რიგში სტანდარტის შესრულებაზე. ამისთვის საგნობრივი სტანდარტების შესრულებაზე კონტროლის მიზნით, გაკვეთილის სწორი დაგეგმვისა და საგაკვეთილო დროის რაციონალური განაწილების შემოწმების მიზნით, მასწავლებლის მიერ სტანდარტის შესრულების მიზნით სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს გაკვეთილებზე მიზნობრივ დასწრებებს. მონიტორინგზე პასუხისმგებელია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები. ამ ჯგუფის წევრები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან განვითარებაზე, თანამშრომლობაზე, საჭიროებების დადგენაზე.

ფორმალური დასწრების შესახებ მასწავლებელი უნდა იყოს გაფრთხილებული გაკვეთილის დაწყებამდე არანაკლებ 5 წუთისა, ხოლო არაფორმალური დასწრება ხორციელდება ფოკუსირებული დასწრებით გაკვეთილის დასაწყისში/შუაში/ბოლოს.

პედაგოგს უნდა ჰქონდეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- საგნობრივი პროგრამა/მატრიცა;
- შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი და სავარაუდო გრაფიკი;
- სემესტრული და წლიური ანგარიში;
- შეფასების კრიტერიუმები კომპონენტების მიხედვით;
- მასწავლებლის პროფილი eSchool - ის ელექტრონულ სისტემაში.
- ელექტრონული პორტფოლიო (ბლოგი)
- წლის ბოლოს შევსებული თვითშეფასების ფორმა
- მოსწავლეების მიერ ანონიმური შეფასების კითხვარი

მასწავლებლის პროფესიული პასუხისმგებლობა

- ისწრაფვის პროფესიული ზრდისა და განვითარებისაკენ.
- მასწავლებელი ემორჩილება სკოლის მარეგულირებელ წესებსა და პოლიტიკას.
- მასწავლებელი პატივს სცემს სკოლის ხელმძღვანელობას.
- მასწავლებელი კონსტრუქციულად თანამშრომლობს სკოლის თანამშრომლებთან.
- მასწავლებელი კონსტრუქციულად თანამშრომლობს მშობლებთან.
- მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული სკოლის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების პროცესში, რაც გავლენას იქონიებს მასწავლებელთა საქმიანობაზე, სასწავლო გეგმებისა და მასალების, სასწავლო მეთოდებისა და სკოლისა და საზოგადოების ჩათვლით.
- იცავს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ქცევის სტანდარტებს.

- მასწავლებელი საკუთარ პროფესიულ მოვალეობებს პასუხისმგებლობით და პუნქტუალურად ასრულებს.
- მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული კლასგარეშე ღონისძიებაში.
- მასწავლებელი მხოლოდ საპატიო მიზეზების შემთხვევებში აცდენს გაკვეთილებს
- მასწავლებელი დახმარებას უწევს მოსწავლეებს კლასგარეშე ცხოვრებასა და ღონისძიებებში.
- მასწავლებელი პასუხისმგებლობით ეკიდება სკოლის შენობას, ქონებასა და აღჭურვილობას.

ტიპი	მონიტორინგის სახელწოდება	პერიოდი	პასუხისმგებელი პირი
დოკუმენტაცია	შემაჯამებლის შედეგების ანალიზის წარდგენა	სემესტრების ბოლოს	კათედრის თავმჯდომარეები, ინფო-მენეჯერი
დოკუმენტაცია	შემაჯამებელი ნაშრომების წარდგენა	წასწავლო წლის ბოლოს	საგნის მასწავლებლები, კათედრის თავმჯდომარე
დოკუმენტაცია	ელექტრონული ჟურნალის წარმოება	წასწავლო წლის განმავლობაში	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დამრიგებლები
დოკუმენტაცია	პორტფოლიოების წარმოება	წლის განმავლობაში	დირექტორის მოადგილე, კათედრის თავმჯდომარე
დოკუმენტაცია	სამსახურში გამოცხადების-ტაბელზე ხელმოწერა	ყოველდღიურად	დირექტორის მოადგილე
კულტურა	არაფორმალური მუშაობა	წლის განმავლობაში	კათედრის თავმჯდომარეები
კულტურა	სანიტარ-ჰიგიენური ნორმების შესრულება	კვირაში ერთხელ	სკოლის ექთანი
მშობელი	შეფასების გაცნობა მშობლებისათვის	თვეში ერთხელ	დამრიგებლები
სასწ.პროცესი	კურიკულუმის განვითარების მდგომარეობა	წლის განმავლობაში	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სპეც. მასწავლებელი, პროფესიული განვით. და ხარისხ. ჯგუფი.

სასკოლო საგანმანათლებლო ღონისძიებები

1. 1. სასკოლო კონფერენცია (შემოდგომა, გაზაფხული)

მიზანი:

- მოსწავლეთა ცოდნის დონის გამოვლენა;
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება;
- არასასწავლო თემები აქტუალიზება;
- საკონფერენციო ნაშრომების მომზადების გამოცდილების განვითარება;
- მოსწავლეთა პრეზენტაციების უნარის განვითარება;

აქტივობები:

- პირობების გამოცხადება;
- ნაშრომების მიღება;
- ჟიურის წევრების შერჩევა;
- ნაშრომების შერჩევა საკონფერენციოდ;
- შერჩეული მონაწილეებისთვის ერთდღიანი ტრენინგი პრეზენტაციების მომზადების კუთხით;
- ორდღიანი საკონფერენციო თემების პრეზენტაცია;
- გამარჯვებულების გამოვლენა, დაჯილდოვება;

მინი დებულება:

- კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ VII-XII კლასის მოსწავლეებს;
- აუცილებელი მოთხოვნები: საკონფერენციო თემა გადმოცემული უნდა იყოს არანაკლებ 2 A4 ზომის თაბახის ფურცელზე (Sylfaen12). აუცილებელია თანდართული ელექტრონული ვერსია და პრეზენტაცია Power-Point-ში.

შეფასების კრიტერიუმები:

შეფასების კრიტერიუმები	ფაქტობრივი მასალის ფლობა	ინფორმაციის გადმოცემის უნარი	სიახლე, კვლევა დაკავშირებული თემასთან	ტექსტის გრამატიკული და ლექსიკური სისწორე	მსჯელობის უნარი	ვიზუალური მხარე
	3ქ.	4ქ.	4ქ.	2ქ.	4ქ.	3ქ

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლაში დამკვიდრდება და განვითარდება კონფერენციების ორგანიზების კულტურა. გამოვლინდება მოსწავლეთა ცოდნა და უნარები საკონფერენციო მუშაობის, საჭირო მასალების მოძიების, ნაშრომისა და საკუთარი თავის პრეზენტაციების და საკუთარი პოზიციის დაცვის კუთხით;
- მონაწილეებს განუვითარდებათ საკონფერენციო ნაშრომების მომზადების კულტურა;
- ისწავლიან ნაშრომისა და საკუთარი თავის პრეზენტაციების სხვადასხვა ხერხებს;
- სასკოლო კონფერენციის შედეგები იქნება ერთ-ერთი კრიტერიუმი სემესტრისა და წლის საუკეთესო მოსწავლეების გამოვლენის დროს;
- კონფერენციაზე მიღებული დიპლომი მოსწავლეს გამოადგება სამომავლოდ.

1. 2. ინტელექტუალური კონკურსი (შემოდგომა, გაზაფხული)

მიზანი:

- ინტელექტუალი ბავშვების წარმოჩენა და წახალისება;
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება;
- მოსწავლეებს შორის კონკურენციის დონის ამაღლება;
- სკოლაში ინტელექტუალური კონკურსების ორგანიზების ტრადიციის დამკვიდრება;
- სკოლათაშორის რაიონული ინტელექტუალური კონკურსების ორგანიზება;

აქტივობები:

- ინტელექტ-კლუბის – რა?, სად?, როდის? ჩამოყალიბება;
- კლუბის დებულების შემუშავება;
- კონკურსის პირობების გამოცხადება;
- გუნდების რეგისტრაცია;
- მონაწილეების დაყოფა ჯგუფებად (გამოსვლის დღეებისა და გუნდების რაოდენობის მიხედვით);
- კონკურსი;
- გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოვება;

მინი დებულება:

- კლუბში გაწევრიანება შეუძლიათ VII-XII კლასების მოსწავლეებს;
- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ VII-XII კლასების მოსწავლეებს;
- თითოეული გუნდი უნდა შედგებოდეს 6 ძირითადი და 1 დამატებითი წევრისგან;
- კონკურსში მონაწილე გუნდების რაოდენობა არ არის შეზღუდული;
- გუნდების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება საკონკურსო დღეების რაოდენობა;
- თითოეულ საკონკურსო დღეს მონაწილეობას მიიღებს 5 გუნდი. (თუმცა შესაძლებელია რაოდენობის მცირედი კორექტირება მონაწილე გუნდების რაოდენობის შესაბამისად);
- საკონკურსო კითხვები შეირჩევა სპეციალური ჟიურის მიერ, რომელიც დაკომპლექტდება სკოლის დირექციისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან;
- თვითოეულ საკონკურსო დღეს მონაწილე გუნდებისთვის დაისმება 20 საკონკურსო კითხვა. ფრის შემთხვევაში მოწინავე გუნდები გააგრძელებენ თამაშს, სანამ ერთ-ერთი გუნდი არ მოიპოვებს გამარჯვებას.
- კონკურსი შედგება 3 ეტაპისგან: ნახევარ-ფინალი, ფინალი და სუპერ-ფინალი;
- შემოდგომისა და გაზაფხულის სერიების გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან სუპერ-ფინალში, სადაც მათ დაემატება შემოდგომისა და გაზაფხულის სერიების ფინალებში მონაწილე გუნდებიდან კიდევ ერთი გუნდი;
- სუპერ-ფინალში მონაწილე მესამე გუნდი შეირჩევა შემოდგომისა და გაზაფხულის სერიებში მონაწილე გუნდებიდან დამატებითი კონკურსის შედეგად, რომელიც გაიმართება გაზაფხულის სერიის დასრულების შემდეგ და მასში მონაწილეობას მიიღებენ ფინალებში დამარცხებული გუნდები;
- სუპერ-ფინალის გამარჯვებული გუნდი გახდება სკოლის ჩემპიონი და დაეუფლება გარდამავალ ჯილდოს ერთი წლის განმავლობაში;
- კონკურსში მონაწილეობა იქნება სემესტრისა და წლის საუკეთესო მოსწავლეების შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჩამოყალიბდება ინტელექტ-კლუბი – რა?, სად?, როდის?, რომელშიც გაერთიანდება VII-XII კლასების მოსწავლეები სურვილის მიხედვით. კლუბის კომპეტენციაში შევა ინტელექტუალური ღონისძიებების და კონკურსების ორგანიზება;
- წახალისდებიან ინტელექტუალი ბავშვები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინტელექტუალურ ღონისძიებებში, გამოავლენენ და განავითარებენ საკუთარ ნიჭსა და უნარებს;
- სკოლაში დამკვიდრდება ინტელექტუალური კონკურსების ორგანიზების ტრადიცია;
- კონკურსში მონაწილეობით მოსწავლეებს გაეზრდებათ სემესტრის, წლის საუკეთესო მოსწავლის ტიტულის მიღების შანსი.

1. 3. სპორტული ჩემპიონატი/კვირეული (შემოდგომა, გაზაფხული)

მიზანი:

- სკოლაში სპორტული აქტივობების წახალისება;
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება;
- სპორტული კონკურსების ორგანიზება სახეობების მიხედვით;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა მოსწავლეებში;

აქტივობები:

- გუნდების ჩამოყალიბება სახეობების მიხედვით;
- გუნდების რეგისტრაცია;
- სახეობების განაწილება დღეების მიხედვით;
- შეჯიბრებები სახეობების მიხედვით კლასებს შორის;
- გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოვება;

მინი დებულება:

- ჩემპიონატი ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში I-VI და VII-XII კლასებს შორის;
- ჩემპიონატი ტარდება კლასებს შორის;
- თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში კონკურსი ჩატარდება განსხვავებულ სახეობებში;
- ჩემპიონატი ტარდება შემდეგ სახეობაში

ასაკობრივი ჯგუფი	I-VI	VII-XII
სახეობა	სირბილი	ფეხბურთი
1	სირთულეების დაძლევა	კალათბურთი (გუნდური და ინდივიდუალური)
2	დამალული ნივთების მოძებნა	ფრენბურთი
3		სირბილი (50.100.500,1000 მეტრ დისტანციებზე)
4		დამალული ნივთების მოძებნა
5		სირთულეების დაძლევა

- თითოეულმა კლასმა უნდა წარმოადგინოს გუნდები წარმოდგენილი სახეობების მიხედვით;
- ნაჩვენები შედეგების მიხედვით, თვითოეულ სახეობაში გამოვლინდებიან გამარჯვებული გუნდები/კლასები;
- გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და გარდამავალი პრიზებით;

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლაში მოხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- მოხდება სპორტული კონკურსების ორგანიზება სახეობების მიხედვით;
- მოხდება ახალი სპორტული სახეობების პოპულარიზება;
- ჩემპიონატის შედეგები იქნება ერთ-ერთი კრიტერიუმი სემესტრისა და წლის საუკეთესო მოსწავლეების გამოვლენის დროს;

1. 4. დებატები

მიზანი:

- მოსწავლეთა შორის დებატების კულტურის ჩამოყალიბება;
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება;
- დისკუსიების ორგანიზება სკოლის, საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე;
- მოსწავლეთა დაინტერესება სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის კუთხით;
- დაინტერესებულ მოსწავლეთა წახალისება;
- მოსწავლეთა აქტიურად ჩართვა საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების განხილვაში.

აქტივობები:

- დებატების კლუბის ჩამოყალიბება;
- კლუბის დებულების მომზადება;
- კლუბში დაინტერესებულ მოსწავლეთა გაწევრიანება;
- დებატების ორგანიზება მინიმუმ თვეში ერთხელ იმ პერიოდისთვის აქტუალურ საკითხებზე;
- საკვირაო სადისკუსიო კლუბის ჩამოყალიბება;
- დისკუსიების ორგანიზება ყოველ 2 კვირაში ერთხელ;

მინი დებულება:

- დებატების კლუბში გაწევრიანება შეუძლია VII-XII კლასების მოსწავლეებს;
- კლუბში წევრების რაოდენობა შეუზღუდავია;
- კლუბის მმართველი ორგანოა კლუბის წევრთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია კლუბის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე;
- კლუბის ორგანიზებით, უნდა ჩატარდეს დებატები სკოლის, საზოგადოებისთვის იმ დროისთვის აქტუალურ საკითხებზე. პერიოდულობა თვეში მინიმუმ ერთხელ;
- კლუბის წევრი აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს კლუბის მიერ ორგანიზებული დებატების უმრავლესობაში;
- დებატების დებულება განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - დებატების კონკრეტულ თარიღს და თემას განსაზღვრავს კლუბის წევრთა საბჭო;;
 - დებატებში მონაწილეობას იღებს სამი გუნდი: ორი მოპაექრე და ერთი დამკვირვებელი;
 - გუნდების შემადგენლობას და ფუნქციებს განსაზღვრავს კლუბის წევრთა საბჭო;
 - მოპაექრე გუნდების შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს კლუბის წევრებისგან;
 - დამკვირვებელი გუნდი შესაძლოა დაკომპლექტდეს კლუბის არაწევრი მოსწავლეებისგან;
 - დებატებში მონაწილე გუნდებს აფასებს ჟიური;
 - შეფასების კრიტერიუმებია:
 -

შეფასების კრიტერიუმები	
დამკვირვებელი გუნდი	მოპაექრე გუნდი
1. კრიტიკულობა; 2. რეგლამენტის სწორად გამოყენება; 3. მონაწილეთა ვიზუალური მხარე; 4. მოწინააღმდეგის შეცდომების სწორად გამოყენება 5. მოწინააღმდეგის აზრის პატივისცემა;	1. კრიტიკულობა; 2. რეგლამენტის სწორად გამოყენება 3. მონაწილეთა ვიზუალური მხარე; 4. მოწინააღმდეგის შეცდომების სწორად გამოყენება; 5. მოწინააღმდეგის აზრის პატივისცემა;
	1. კრიტიკულობა; 2. რეგლამენტის სწორად გამოყენება' 3. მონაწილეთა ვიზუალური მხარე; 4. მოწინააღმდეგის შეცდომების სწორად გამოყენება 5. მოწინააღმდეგის აზრის პატივისცემა;

- გამარჯვებულ გუნდად შესაძლოა გამოცხადდეს დამკვირვებელთა გუნდიც;მ თვითოეულ დებატში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი;
- თვითოეულ დებატში გათამაშდება გარდამავალი პრიზი;
- დებატებში მონაწილეობა მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად განიხილება სემესტრის, წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენის დროს;

მოსალოდნელი შედეგები:

- სკოლაში ჩამოყალიბდება დებატების კლუბი, რომელიც ყოველთვიური ღონისძიებებით კიდევ უფრო გამოაცოცხლებს სასკოლო ცხოვრებას;
- კლუბის საქმიანობის შედეგად, ყოველთვიურად გაიმართება დებატები და დისკუსიები სკოლის, საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე;
- გაიზრდება მოსწავლეთა აქტიურობის დონე;
- მოსწავლეებში დებატებში სხვადასხვა სახით ჩართულობის შედეგად განვითარდება დებატების კულტურა;
- წახალისდებიან დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებსაც მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების განვითარების შანსი;
- მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან სკოლისა და საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების განხილვაში.

1. 5. მხიარულთა და საზრიანთა გუნდების სასკოლო ჩემპიონატი (შემოდგომა, გაზაფხული)

მიზანი:

- სასკოლო ცხოვრების გახალისება;
- მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩამოყალიბება;
- მხიარულთა და საზრიანთა გუნდების სასკოლო ჩემპიონატის ორგანიზება;
- მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება;

აქტივობები:

- მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ჩამოყალიბება;
- კლუბში მსკ-ს გუნდების ჩამოყალიბება და გაწევრიანება;
- კლუბის დებულების მომზადება;
- მხიარულთა და საზრიანთა გუნდების სასკოლო ჩემპიონატის გამოცხადება;
- ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურის ჩამოყალიბება-დამტკიცება;
- ჩემპიონატის ორგანიზება სამ ეტაპად: I – საშემოდგომო სეზონი; II – საგაზაფხულო სეზონი; III – ზაფხულის, ფინალური სეზონი;

მინი დებულება:

- მსკ-ს გუნდების ჩამოყალიბება შეუძლიათ VI- XII კლასების მოსწავლეებს;
- მსკ-ს გუნდში წევრების რაოდენობა განისაზღვრება მაქსიმუმ 12 მოსწავლით;
- მსკ-ს კლუბში გუნდების რაოდენობა შეუზღუდავია;
- მსკ-ს გუნდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელი და ლოგო;
- მსკ-ს ჩემპიონატი ტარდება სამ ეტაპად: შემოდგომა, გაზაფხული, ზაფხული/სუპერ-ფინალი;
- თვითოეული ეტაპი შედგება სამი ტურისგან: მერვედ-ფინალი, ნახევარ-ფინალი, ფინალი;
- თვითოეულ ტური შედგება ოთხი საფეხურისგან: მისალმება, საშინაო დავალება, მუსიკალური სკეტჩი და კითხვა-პასუხი;
- ორი ეტაპის გამარჯვებული გუნდები სუპერ-ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს, სადაც მათ დაუპირისპირდება შემოდგომისა და გაზაფხულის ეტაპების ფინალებში დამარცხებული გუნდებიდან ქულებით საუკეთესო;
- სუპერ-ფინალი მხოლოდ ერთ ტურს მოიცავს და ჩატარდება მეორე სემესტრის ბოლო სასწავლო კვირას;
- მსკ-ს გუნდების გამოსვლას შეაფასებს ჟიური;
- მსკ-ს ჩემპიონატში მონაწილეობა მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად განიხილება სემესტრის, წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენის დროს;

მოსალოდნელი შედეგები:

- ჩამოყალიბდება მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, რომელიც გააერთიანებს დაინტერესებულ მოსწავლეებს და ხელს შეუწყობს მათ თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას;
- ყოველ სემესტრში გაიმართება მხიარულთა და საზრიანთა გუნდების სასკოლო ჩემპიონატის ეტაპები, რაც კიდევ უფრო გამოაცოცხლებს სასკოლო ცხოვრებას;

- მოსწავლეებში მოხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზება;

1. 6. სასკოლო თვითმმართველობის არჩევნები

მიზანი:

- სასკოლო თვითმმართველობის წევრების როტაცია;
- თვითმმართველობის ქმედითუნარიანობის გაზრდა;
- თვითმმართველობის საქმიანობაში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა;
- არჩევნების პრინციპების და წესების უკეთ გაცნობა მოსწავლეებისთვის;
- საარჩევნო ცნობიერების გაზრდა მოსწავლეებში საარჩევნო პროცესებში მათი მაქსიმალური ჩართულობის გზით;
- მოსწავლეებისთვის საარჩევნო ტექნოლოგიების გაცნობა;
- მოსწავლეებისთვის არჩევნების როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- მოსწავლეების სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- სკოლის მართვის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის მაქსიმალურად გაზრდა;
- სკოლის გარე კონტაქტების მაქსიმალურად გაზრდა და დაკავშირება სხვა სკოლებთან მათი თვითმმართველობების სახით;

აქტივობები:

- სასკოლო თვითმმართველობის საარჩევნო დებულების შესწორებების განხილვა-დამტკიცება;
- არჩევნების თარიღის დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მმართველი ორგანოს (ცსკ-ცენტრალური საარჩევნო კომისია) ჩამოყალიბება;
- კანდიდატების რეგისტრაცია;
- წინასაარჩევნო კამპანია;
- საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა;
- დამკვირვებლების რეგისტრაცია;
- არჩევნების ორგანიზება;
- ხმების დათვლა და წინასწარი შედეგების გამოცხადება;
- საბოლოო შედეგების გამოცხადება;
- თვითმმართველობის ახალი შემადგენლობის შეკრება;
- თვითმმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება-დამტკიცება;

მოსალოდნელი შედეგები:

- განხორციელდება სასკოლო თვითმმართველობის წევრების როტაცია;
- წევრთა როტაციის შედეგად გაიზრდება თვითმმართველობის ქმედითუნარიანობა;
- უფრო მეტი მოსწავლე ჩაერთვება თვითმმართველობის საქმიანობაში;
- რეალურ არჩევნებში მონაწილეობის შედეგად მოსწავლეები უკეთ გაეცნობიან საარჩევნო პროცედურებს და ტექნოლოგიებს, გაიზარებენ არჩევნების მნიშვნელობას, რაც გამოადგებათ სამომავლოდ;
- არჩევნებში აქტიურად მონაწილეობის შედეგად მოსწავლე ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად;
- ახალი თვითმმართველობა უფრო გააღრმავებს სკოლის გარე კონტაქტებს;
- გაღრმავდება კონტაქტები არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

1.7 საპროექტო სამუშაოები

მიზანი:

- მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო თვითმმართველობის საქმიანობასა და საპროექტო საქმიანობაში;
- სამოქალაქო განათლების, როგორც სასკოლო დისციპლინის სწავლების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა გამოცდილების გაზრდა საპროექტო სამუშაოებში;
- მოსწავლეთათვის პროექტების წერისა და მენეჯმენტის სწავლების ხელშეწყობა;

- მოსწავლეთა წახალისება ერთობლივი სასარგებლო საქმიანობის საწარმოებლად;
- სკოლის დახმარება დამატებითი ფინანსების მოძიების გზით;

აქტივობები:

- საპროექტო ჯგუფის ჩამოყალიბება თვითმმართველობის ეგიდით, რომელშიც გაერთიანდებიან დაინტერესებული მოსწავლეები;
- ფონდების მიერ გამოცხადებულ ყოველ კონკურსზე შესაბამისი პროექტის მომზადება და წარდგენა თვითმმართველობის სახელით;
- დაფინანსებული პროექტის განხორციელება თვითმმართველობის წევრებისა და აქტივისტების მიერ;
- მონიტორინგის კომისიის შექმნა, რომელიც დაკომპლექტდება დირექციისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან და რომლის კომპეტენციაც განისაზღვრება დებულებით;
- პროექტების წერა-მენეჯმენტის ტრენინგების ორგანიზება სემესტრში ერთხელ აქტიური მოსწავლეებისთვის;

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება მოსწავლეთა ჩართულობა საპროექტო სამუშაოებში მათი დაინტერესების გზით;
- საპროექტო სამუშაოებში ჩართული მოსწავლეები მიიღებენ დიდ გამოცდილებას, რომელიც გამოადგებათ სტუდენტობის დროს თუ შემდგომ ცხოვრებაში;
- ხელი შეეწყობა სამოქალაქო განათლების საგნის სწავლებას;
- მოსწავლეები უკეთ შეისწავლიან საპროექტო სამუშაოებს;
- სამუშაო ჯგუფის წევრები ერთობლივი საქმიანობის შედეგად შეეჩვევიან გუნდური მუშაობის პრინციპს;
- საპროექტო სამუშაოების შედეგად სკოლაში შემოვა დამატებითი ფინანსები ფონდებიდან, რომელიც მოხმარდება სასკოლო საჭიროებებს;

1. 8. ტრენინგები

მიზანი:

- მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების დონის გაზრდა;
- კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ტრენინგების მეშვეობით, მოსწავლეთა ცოდნის გაზრდა კონკრეტული მიმართულებებით: ლიდერობა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, ყოფითი კონფლიქტების ანალიზი დამართვა და ა.შ;
- სასკოლო თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა;
- მოსწავლეთა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

აქტივობები:

- კავშირების გაღრმავება არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ტრენინგ-კლუბის ჩამოყალიბება;
- პროექტების შემუშავება აღნიშნული მიმართულებით;
- ტრენინგების ორგანიზება;

მოსალოდნელი შედეგები:

- გაიზრდება მოსწავლეთა სამოქალაქო განათლების დონე;
- გაიზრდება სასკოლო თვითმმართველობის საქმიანობის ეფექტურობის დონე, რადგან ტრენინგებში მონაწილეობას ძირითადად თვითმმართველობის წევრები და აქტივისტები მიიღებენ;
- ხელი შეეწყობა მოსწავლეთა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბების პროცესს;

საუკეთესო მოსწავლეების, დამრიგებლების დაჯილდოვება

მიზანი:

- მოსწავლეთა წახალისება უკეთესი აკადემიური მიღწევებისთვის;
- სწავლაში შედარებით ჩამორჩენილი მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა;
- წარმატებული მოსწავლეების წარმოჩენა;
- მოსწავლეების წახალისება სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად;

აქტივობები:

- წლის დასაწყისში კონკურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდება პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის;
- კონკურსის პირობების და შეფასების კრიტერიუმების გამოცხადება წერილობით;
- თითოეულ სასკოლო ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეების აქტიურობის დონის შეფასება;
- სემესტრის ბოლოს კანდიდატების გამოცხადება;
- კანდიდატების ვინაობების გამოცხადების შემდეგ, ერთკვირიანი სააპელაციო პერიოდის გამოცხადება;
- სემესტრის ბოლოს, საახალწლო წვეულებაზე გამარჯვებულების გამოცხადება და დაჯილდოვება;
- მეორე სემესტრის ბოლოს, იგივე პროცედურის განმეორება;
- წლის ბოლოს წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენა საგნებისა და კლასების მიხედვით;

მინი დებულება:

- კონკურსში მონაწილეობას დებულობს სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლე;
- კონკურსის მონაწილეები იყოფიან ორ ასაკობრივ კატეგორიად საბაზო და საშუალო საფეხურების მიხედვით;
- შეფასების კრიტერიუმებია:

შეფასების კრიტერიუმები				
	კრიტერიუმები	კრიტერიუმების კოეფიციენტები		
		I სემესტრი/მაქს.ქ.	II სემესტრი/მაქს.ქ.	ჯამი მაქს.
1	აკადემიური მოსწრება	10ქ-20 9ქ-18 8-16 8-ს ქვემოთ –10	10ქ-20 9ქ-18 8-16 8-ს ქვემოთ –10	40
2	სასკოლო კონფერენცია	I-15 II-13 III-11 მონაწილეობა–10	I-15 II-13 III-11 მონაწილეობა–10	30
3	საგნობრივი სასკოლო კონფერენცია	I-15 II-13 III-11 მონაწილეობა–10	I-15 II-13 III-11 მონაწილეობა–10	30

4	ინტელექტუალური კონკურსი	I-10	I-10	25
		II-8	II-8	
		III-6 მონაწილეობა–3	III-6 მონაწილეობა–3	
		სახეობები	სახეობები	
5	სპორტული ჩემპიონატი/ კვირეული	I-5/სახეობაში	I-5/სახეობაში	30
		II-4/სახეობაში III-3/სახეობაში მონაწილეობა-1/სახეობაში მატჩის საუკეთესო მოთამაშე – 5 (გუნდურ სახეობებში)	II-4/სახეობაში III-3/სახეობაში მონაწილეობა-1/სახეობაში მატჩის საუკეთესო მოთამაშე – 5 (გუნდურ სახეობებში)	
6	მულტი-კულტურული საღამო	I-20	I-20	40
		II-18	II-18	
		III-16 მონაწილეობა–10	III-16 მონაწილეობა–10	

▪ ნომინაციები:

№	საბაზო/საშუალო საფეხური
1	სემესტრის საუკეთესო მოსწავლე – პრიორიტეტი: აკად. მოსწრება(1); კონფერენციები;(2) რა?, სად?, როდის?(3); დებატები(4); მულტიკულტურული საღამო(5); საპროექტო მუშაობა(6).
2	წლის საუკეთესო მოსწავლე (დაგროვილი ქულების მიხედვით)
3	საგნის საუკეთესო მოსწავლე (აკად. მოსწრება; საგნობრივი კონფერენციები;)
4	კათედრის საუკეთესო მოსწავლე

	(აკად. მოსწრება; საგნობრივი კონფერენციები; საგნობრივი აქტივობები)	
5	ყველაზე სპორტული მოსწავლე (სპორტულ აქტივობებში დაგროვილი ქულებით)	ინდივიდუალურ სახეობებში დაგროვილი ქულები; გუნდურ სახეობებში დაგროვილ ქულებს + მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების შედეგად დაგროვებული ქულები
6	ყველაზე ინტელექტუალური მოსწავლე (რა, სად, როდის საუკეთესო მოთამაშე-გამოვლინდება თამაშების საუკეთესო მოთამაშეების მიხედვით)	
7	ყველაზე იუმორისტული მოსწავლე (მსკ-ს ჩემპიონატის საუკეთესო მონაწილე – გამოვლინდება თამაშების საუკეთესო მოთამაშეების მიხედვით)	
8	ყველაზე დისციპლინარული მოსწავლე (დასწრების მაჩვენებლებისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით)	

- შეფასებას ახდენს სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტდება სკოლის დირექციის, პედაგოგებისა და სასკოლო თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან;
- საუკეთესოები გამოვლინდებიან დაგროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით;
- ყოველი თვის ბოლო ორშაბათს, გამოიკვრება საუკეთესო შედეგების მქონე 10 მოსწავლის სია თვალსაჩინო ადგილას, რომლების იქნებიან თვის საუკეთესო მოსწავლეები;
- დაჯილდოვების ცერემონიამდე 10 დღით ადრე, გამოცხადდება საუკეთესო ქულების მქონე 10 კანდიდატი დაგროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით, რომელთაგან შერჩევა საუკეთესო მოსწავლე;
- სემესტრის ბოლოს, მოხდება გამარჯვებულების გამოცხადება და დაჯილდოვება;
- მეორე სემესტრის ბოლოს იგივე პროცედურა განმეორდება;
- წლის ბოლოს დაგროვებული ქულების მიხედვით მოხდება წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენა საგნებისა და კლასების მიხედვით;
- საუკეთესო მოსწავლეები დაჯილდოვდებიან.

მოსალოდნელი შედეგები:

- მოხდება მოსწავლეების წახალისება უკეთესი აკადემიური მიღწევების მისაღებად;
- გაიზრდება სწავლაში შედარებით ჩამორჩენილი მოსწავლეების მოტივაცია;
- წარმოჩინდებიან წარმატებული მოსწავლეები;
- მოსწავლეები წახალისდებიან სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად;

სხვა ღონისძიებები:

- სკოლა მიიღებს მონაწილეობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ და რეკომენდებულ ღონისძიებებში(მ.შ. კონკურსები, საგნობრივი ოლიმპიადები, ფესტივალები, კონფერენციები და ა.შ)

კათედრების სამუშაო გეგმებში გაწერილია 2023-2024 სასწავლო წელს სასწავლო, სასკოლო პროექტები და ღონისძიებები.